# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 ივნისი 2002 №109 (1631) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN



# მართალი ფეხბურთი ცოტაღა დარჩა

**პორტუგალია როცა იგებს, მართლა იგებს. როცა აგებს, მართლა აგებს. პორტუგალია ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ნამდვილ ფეხბურთს თამაშობს. პორტუგალია ნამდვილია და სტოვებს მსოფლიოს ჩემპიონატს, მის ნაცვლად რჩებიან კორეელები და ამერიკელები. პორტუგალია თამაშობს და ისე მიდის. პორტუგალია ჩემპიონი არასოდეს ყოფილა, მაგრამ პორტუგალია პორტუგალიაა და წააგებს თუ მოიგებს, ყოველთვის გეხსომება, ისევე, როგორც მასზე ასგზის ტიტულოვანი, მართლა დიადი გუნდები გახსოვს. იმიტომ, რომ პორტუგალია ფეხბურთს თამაშობს. მართლა თამაშობს. უბრალოდ და ლამაზად, რაც ალბათ ყველაზე ძნელი, მაგრამ ყველაზე მართალი ფეხბურთია.**

## მერვედფინალი

**15 ივნისი**

გერმანია — პარაგვაი
ინგლისი — დანია

**16 ივნისი**

შვედეთი — სენეგალი
ესპანეთი — ირლანდია

**17 ივნისი**

მექსიკა — აშშ
ბრაზილია — ბელგია

**18 ივნისი**

თურქეთი — იაპონია
იტალია — კორეა



ამ დროს კი: მოსკოვი. კრემლი. პრეზიდენტ პუტინს. რუსეთის ნაკრები გავიდა მერვედფინალში, სადაც შეხვდება ბრაზილიის ნაკრებს. ასეთი დეპეშა-ტელეგრამა ეგებ გამზადებულიც იყო, ფიქრში მაინც, მაგრამ ბელგიის ნაკრებმა ისე მოახერხა, რომ რუსეთი მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთხოვა.

# კორეა-იაპონია 2002
## D ჯგუფი. III ტური

# №47 პორტუგალია 0:1 ს. კორეა

14 ივნისი. ინჩეონი (კორეა). 16.30 „ინჩეონ უორლდ კაპ სტადიუმ". 50 239 მაყურებელი

0:1 პარკი (70)

მწვრთნელი ანტონიუ ოლივეირა

1 ვიტორ ბაია

22 ბეტუ სევერუ, 5 ფ. კოუტუ, 2 ჟორჟე კოშტა, 23 რუი ჟორჟე

20 ა. პეტი, 17 ბენტუ

7 ფიგუ, 11 კონსეისაუ

8 ჟოაუ პინტუ

9 პაულეტა

9 სეოლი, 21 პარკი, 19 ანი

10 ა. ლი, 6 იოო

5 ნ. კიმი

20 ჰ. ჰონგი, 4 ჯ. ჩოი, 7 ტ. კიმი, 22 ჩ. სონგი

1 ვ. ლი

მწვრთნელი გუს ჰიდინკი

KFA

შეცვლა: პაულეტა – 13. ჟორჟე ანდრადე (69), რუი ჟორჟე – 3. შავიერი (73), პეტი – 21. ნუნუ გომეში (77), ანი – 14. ჩ. ლი (90)

გაფრთხილება: ბეტუ სევერუ (22), ტ. კიმი (24), სეოლი (57), ბეტუ სევერუ (65), ნ. კიმი (74), ჟორჟე კოშტა (83), ანი (90)

გაძევება: ჟოაუ პინტუ (27), ბეტუ სევერუ (65)

მსაჯები: ანხელ სანჩესი (არგენტინა); ალი ალ-ტრაიფი (საუდეთი), ფერენც შეკელი (უნგრეთი)

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 22 |
| 3 | კუთხური | 5 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 2 |



ჯი-სუნგ პარკის გოლმა კორეას ბრაზილიამე შემატა, პორტუგალიას კი დაღუპა

# პორტუგალია თვითმკვლელებმა მოკლეს

გიორგი დარჯანია

**საფრანგეთი** გავარდა, არგენტინაც, გუშინ ამათ პორტუგალია მიჰყვა. გულახდილად გითხრათ, ყველაზე მეტად გული სწორედ პორტუგალიელთა გავარდნამ დამწყვიტა, თუმც ეს პირადი აზრია და ამიტომ ნაკლებ მნიშვნელოვანი, მთავარი კი ის არის, რომ სამხრეთ კორეაში ამერიკელთა 37-ათასიანი სამხედრო კონტინგენტი დგას და კორეელთა უსაფრთხოებას იცავს. ეგებ, ისიც მთავარი იყოს, რომ მავანმა კორეელმა მამაკაცმა ფეხბურთელთა მხარდაჭერის ნიშნად თავი დაიწვა, ერთმა ბიჭმაც იგივე სცადა და ჩააქრეს. მოკლედ, სამხრეთკორეელები ჩრდილოელ მოძმეთა მსგავსად ფანატიკოსი ხალხია და სადაც ფანატიზმია, მორჩილებაც იქვე ტრიალებს. მატჩის წინ მწვრთნელმა მოთამაშეებს მაღალი ტემპი მოსთხოვა და მათაც ბრძანება შეასრულეს. მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძლებს სირბილი რომ შეეძლოთ, არავინ კამათობს, მაგრამ რაში სჭირდებოდათ, საკითხავი აი, ეს არის.

ბოლო ტურის წინ ჯგუფში ასეთი ვითარება იყო: პირველ ადგილზე გასასვლელად კორეელებს გამარჯვება სჭირდებოდათ, ფრის შემთხვევაში კი მეორე ადგილზე გადიოდნენ. მაგრამ თამაშის დაწყებიდან ხუთ წუთში ვითარება შეიცვალა. მეორე წყვილში პოლონელები ამერიკელებს უკვე 2:0 უგებდნენ და კორეელებიც არჩევნის წინაშე დადგნენ: თუ პორტუგალიელებთან ფრეს დასჯერდებოდნენ, მერვედფინალში იტალიას გადაეყრებოდნენ, ხოლო დამარცხების შემთხვევაში მექსიკასთან მოუწევდათ ბრძოლა. ერთი სიტყვით, ისეთი უცნაური ვითარება შეიქმნა, რომ კორეას წაგებაც კი აწყობდა!

ჩვენ დარწმუნებით ვერ ვიტყვით, იცოდნენ თუ არა კორეელებმა ამერიკელთა ჩამორჩენის ამბავი, მაგრამ გუს ჰიდინკმა რომ იცოდა, წყალი არ გაუვა. მაგრამ ჰიდინკს ახალი რეალობის გათვალისწინებით მატჩის წინ გაცემული ბრძანება არ გაუუქმებია და ფეხბურთელებიც ფანატიზმით განაგრძობდნენ თამაშს ანუ სირბილს.

ვითარება არც მეორე ტაიმში შეცვლილა, როცა შესვენებისას, კორეელები ნაღდად გაიგებდნენ, რომ ამერიკელები აგებდნენ, თამაშის შემომბრუნებლებს კი არ ჰგავდნენ.

ისე, თუ გავიხსენებთ, კორეელთა სტილს, მათგან ტემპის დაგდება უბრალოდ წარმოუდგენელიც არის — ირბინე, მეტოქე დაქანცე და წაქცეულს გაუტანე. სხვანაირად თამაში კორეას უბრალოდ არ შეუძლია. კორეის ნაკრები დაღმართზე დაგორებულ მუხრუჭმოშლილ მანქანას ჰგავს, რომელიც სანამ კლდეს არ შეასკდება, ვერ გაჩერდება.

პორტუგალიელებს კი დაქანცვა არ სჭირდებოდათ — სათამაშოდ რომ გავიდნენ, უკვე დაღლილები იყვნენ. პორტუგალიელები მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე დაღლილები ჩავიდნენ. ჯისუნგ პარკის გოლამდე მათი თამაში მეტოქისადმი მუდარას ჰგავდა — დაგვინდეთ!

პირველ ტაიმში შეგეძლოთ მშვიდად ჩაგეთვლიმათ. გამოღვიძება მხოლოდ ორი ეპიზოდისას იყო საჭირო — კორეელთა არჩათვლილი გოლისას, როცა მსაჯმა მეკარეზე თავდასხმა აღნიშნა და ჟოაუ პინტუს გაძევებისას. საინტერესო რამ მოხდა, არგენტინელმა არბიტრმა ანხელ სანჩესმა პინტუზე ლამის საცემრად გაიწია — ალბათ, გაგდებულმა შეაგინა. ისე, პინტუ ნაღდად იმსახურებდა წითელ ბარათს.

აი, ბეტუ სევერუზე კი, რა მოგახსენოთ. მეორე ყვითელი ბარათი მან ისეთი დარღვევისთვის მიიღო, რისთვისაც მსაჯს არ უნდა გაემეტებინა.

პორტუგალიელები ცხრანნი დარჩნენ და ანტონიუ ოლივეირამ პაულეტას გაყვანა და ჟორჟე ანდრადეთი დაცვის გაძლიერება გადაწყვიტა. ამ შეცვლიდან ერთ წუთში კი გოლიც გავიდა, ხოლო ის, ვისაც გათანაბრება შეეძლო, მოედანზე აღარ იყო. შეცვლამდე რამდენიმე წუთით ადრე პაულეტას კლასი ერთხელაც გამოჩნდა — ჩაწოდებულ ბურთს კარის საპირისპირო მიმართულებით ვარდნაში შეეგება და კარისკენ კეფით გაისროლა. მეკარემ გაჭირვებით მოიგერია.

ვიტორ ბაიამ კი ვერ ივარგა, პარკის დარტყმული ფეხებშუა გაუშვა, იქამდე პარკი სერჟიუ კონსეისაუს გაუძვრა.

ამის მერე პორტუგალიელთა საცოდაობის ოცწუთეული დაიწყო: ფიგუს საჯარიმო დარტყმა ოდნავ ასცდა კარს; ნუნუ გომეში მეკარესთან პირისპირ დარჩა და გოლამდე ბურთზე ხეირიანად ფეხის წაკვრა დააკლდა, კონსეისაუმ ძელს გაარტყა.

შუალედებში კი კორეელები ბაიას აწუხებდნენ. შესაწუხებელი სხვა არავინ ჰყავდათ, რადგან რვავე პორტუგალიელი შეტევაში გადართულიყო. ბაიამ ოთხჯერ აჯობა პირისპირ გასულ მეტოქეს.

თამაში დასრულდა. მაისურები არ გაუცვლიათ. პორტუგალია გავარდა. კორეელი და ამერიკელი ხალხის მეგობრობას საძირკველი ვერ შეერყა.

## მატჩის შემდეგ

### ანტონიო ოლივეირა
*პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი*

მსაჯმა არაერთი შეცდომა დაუშვა. მეორე ფეხბურთელის გაძევება კი საერთოდ გამოგონილი იყო. ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ. ასეთ შედეგს არ ვიმსახურებდით. ერთ საათზე მეტი კაცნაკლულნი ვითამაშეთ და მაინც შეგვეძლო, არ წაგვეგო. ბოლოს ორი ბრწყინვალე მომენტი გავაფუჭეთ, ვფიქრობ, იღბალმა გვიმტყუნა.

ყველაფრის მიუხედავად, ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს. მათ გააკეთეს ის, რაც შეეძლოთ. ცხრაკაციან გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებთან მატჩში მეტს ვერ მოსთხოვ. მით უფრო, რომ კორეა არავისზე ნაკლები არ არის.

ამ მარცხით ცხოვრება არ დასრულებულა. წაგებულნი კი ვართ, მაგრამ არა შერცხვენილნი. ხვალ ახალი დღეა, ჩვენც მასზე უნდა ვიფიქროთ.

### გუს ჰიდინკი
*ს. კორეის ნაკრების მწვრთნელი*

ეს უკვე მართლაც გამარჯვებაა. მთელ კორეას აუწონელი სიხარული ვაჩუქეთ. მერვედფინალში ისე გავედით, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი დავამარცხეთ. არადა, ფრეც გვყოფნიდა პირველ ადგილზე გასასვლელად, თუმც ბოლომდე ვიბრძოლეთ და გადავსებულ სტადიონსა და სრულიად კორეას ისტორიული გამარჯვება მივუძღვენით.

თავიდან ცოტას კი ვნერვიულობდით, მაგრამ როცა ჟოაუ პინტუ გააძევეს, დავწყნარდით. ბეტუს გაძევების შემდეგ კი დავრწმუნდით, რომ წინ ვერაფერი დაგვიდგებოდა.

იტალიასთან რთული მატჩი გველის, თუმც გულშემატკივართა და, რაღა თქმა უნდა, საკუთარი თავის იმედი გვაქვს.

## სტენოგრამა

**მე-4 წუთი:** იონგ-პიო ლიმ კარს ზემოდან გადააცილა.

**მე-13 წუთი:** კი-ჰეიონ სეოლის მეკარემ აუღო.

**მე-20 წუთი:** სანგ-ჩულ იოომ არაზუსტად დაარტყა.

**31-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს ჯინ-ჩეულ ჩოის გოლი მოჰყვა, თუმც მსაჯმა მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირა.

**35-ე წუთი:** პედრუ პაულეტამ ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა.

**47-ე წუთი:** კი-ჰეიონ სეოლის თავური არაზუსტი გამოდგა.

**49-ე წუთი:** სანგ-ჩულ იოოს შორეული დარტყმა კარს ასცდა.

**50-ე წუთი:** სანგ-ჩულ იოოს თავური მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა.

**52-ე წუთი:** ბეტუ სევერუს მეკარემ აუღო.

**54-ე წუთი:** ნამ-ილ კიმის დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**62-ე წუთი:** პედრუ პაულეტას თავური მეკარემ მოიგერია.

**70-ე წუთი:** საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ჯი-სუნგ პარკს მიუვიდა, მცველი იოლად მოატყუა და სამიოდ მეტრიდან ახლო კუთხეში გაიტანა.

**75-ე წუთი:** ლუიშ ფიგუს საჯარიმო დარტყმა სანტიმეტრებით ასცდა კარს.

**85-ე წუთი:** ნუნუ გომეშმა ურეალურესი შანსი გაანიავა — ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა ბურთს ფეხი ააცილა.

**89-ე წუთი:** სერჟიუ კონსეისაუს დარტყმული ძელს მოხვდა.



ეს იერიში კორეელთა არჩათვლილი გოლით დასრულდა

# კორეა-იაპონია 2002
## D ჯგუფი. III ტური
# №48 პოლონეთი 3:1 აშშ

14 ივნისი. დაეჯონი (კორეა). 16.30. „დაეჯონ ვორლდ კაპ სთადიუმ". 26 482 მაყურებელი

1:0 ოლისადებე (3) 2:0 კრიშალოვიჩი (5), 3:0 ჟევლაკოვი (66), 3:1 დონოვანი (83)
ჟურავსკიმ ვერ გაიტანა პენალტი (76, მეკარე)

12 მაიდანი
მწვრთნელი ეჟი ენგელი
13 გლოვაცკი · 3 ზიელინსკი · 2 კლოსი
16 მურავსკი
21 კოზმინსკი · 8 კუხარსკი · 18 კრჟინოვეკი
9 ოლისადებე · 11 კრიშალოვიჩი · 19 ჟურავსკი
11 მეტისი · 20 მაკბრაიდი
8 სტიუარტი · 10 რეინა · 21 დონოვანი
5 ჯ. ობრაიენი
2 ჰეიდუკი · 12 აგოსი · 22 სანე · 23 პოუპი
მწვრთნელი ბრიუს არენა
1 ფრიდელი

შეცვლა: კუხარსკი – 14. მარჩინ ჟევლაკოვი (14), აგოსი – 17. ბესლი (36), მაკბრაიდი – 9. მური (58), სტიუარტი – 13. ჯოუნსი (68), ოლისადებე – 23. სიბიკი (86), კლოსი – 15. ვალდოხი (89)

გაფრთხილება: მაიდანი (44), კოზმინსკი (46), კუხარსკი (63), ჰეიდუკი (73), ოლისადებე (86)

მსაჯები: იუნ ლუ (ჩინეთი); ბომერ ფიერო (ეკვადორი), იაპ პოოლი (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| 22 | ჯარიმა | 11 |
| 3 | კუთხური | 8 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 17 |
| 7 | კარში დარტყმა | 8 |
| 4 | თამაშგარე | 2 |


ფოტო REUTERS
ფრენკი ჰეიდუკი (№2) პაველ კრიშალოვიჩს ვერ გაუმკლავდა


ფოტო REUTERS
ამერიკელები მეოთხე გოლისგან ძელმა იხსნა

# ამერიკული სცენარი
## წააგე და გაიმარჯვე

პაატა კვანტალიანი

**დიდი ამბების** დროს, სადაც რუსეთს ახსენებენ, იქ ყოველთვის ამერიკაზეც ითქმება და გუშინ ეს ორი ერთ კონტექსტში სახსენებელი იქნებოდა, რომ არა პორტუგალიელთა მარცხი... პარადოქსებითაა სავსე მსოფლიოს ჩემპიონატი. თურმე აშშ-ს საერთოდ რომ არ ეთამაშა ჯგუფის ბოლო მატჩი, მაინც გაალწევდა მერვედფინალში. ახლა ეს ვიკითხოთ, ითამაშეს კი იანკებმა? ჰერი-ჰერის წინ ბარგჩალაგებულმა პოლონელებმა საწყის ხუთ წუთში სასწაულის, ანუ კორეის ნაკრების მოგების იმედად დატოვეს ბრიუს არენას ბიჭები.

რა უნდოდა პოლონეთს? ცხადია, ეკვადორობა, ანუ კარის მძლავრად გაჯახუნება. სხვა თუ არაფერი, ამერიკელთა დამარცხება პოლიტიკური მოტივითაც თვალში საცემი იქნებოდა და ცალკე ეჟი ენგელსაც მოეწმინდებოდა კორეა-პორტუგალიასთან შერცხვენილი ნამუსი. ამერიკელებს რაღა უნდოდათ? სულ მცირე, ქულაო იტყვით, მაგრამ ჰგავდა კი აშშ მანჰეტენის ტყუპი ცათამბჯენების შემზარავი ტრაგედიასავით დამთრგუნველი წყვილი გოლის გამქვითავ გუნდს 85 წუთში? არ ჰგავდა. მეტიც, გაცილებით მაღალი კლასის ნაკრებსაც გაუჭირდებოდა ასეთი სადებიუტო შოკის შემდეგ გონს მოსვლა. და რა ძალას უნდა მოესროლა არენას გუნდი მერვედფინალში... გუშინ D ჯგუფში დატრიალებული მოვლენები სუპერპეფიენდურ ჰოლივუდურ ტრილერს ჰგავდა. მოკლედ, სუფთა ამერიკული ხელწერა იყო და არ გაგიკვირდეთ, „ფილმს" გაგრძელებაც რომ მოჰყვეს — იანკებს ხომ ისტორიულად მჭიდროდ დაკავშირებული მექსიკა უზით მერვედფინალურ სამიზნეზე.

ცოტა რამ თავად მატჩზეც ვთქვათ. თავბრუდამხვევი აზიური პაშიშივით იმოქმედეს მეტოქეზე პოლონელებმა საწყის ხუთ წუთში. ეჟი ენგელმა მეკარე რადოსლავ მაიდანის ჩათვლით რვა სათადარიგო ფეხბურთელი დააყენა ძირითად შემადგენლობაში და ამით ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა, სარეზერვოებს ხომ მისცა თავის გამოჩენის შანსი და მთლიანობაში სწორედ ეს „პოლონეთი 2" გახდა ამერიკელთა დამარცხების მიზეზი.

გამარჯვების თქმა და პოლონელთა შეტევა ერთი იყო. კუთხურისას ოლისადებე ორ მცველს აუხტა, მათ ბურთი იქვე მოიგერიეს და ტომით ნიგერიელმა ხარიხის გავლით ჩემპიონატის უსწრაფესი გოლი გაიტანა. ცენტრიდან თამაშში შეიყვანეს ბურთი იანკებმა და დონოვანმა რამდენიმე წამში გოლის ნიშნად გიჟურად იღრიალა, მაგრამ საეჭვო კვალიფიკაციის ჩინელმა არბიტრმა დონოვანზე წესების დარღვევა დააფიქსირა. იმ ეპიზოდში მართალი იყო მსაჯი — დონოვანმა გადამწყვეტი დარტყმის წინ ტომაშ კლოსს უბიძგა ბურთი პოლონელებს დარჩათ და... 2:0. კრჟინოვეკის ჩინებულ პასს, კრიშალოვიჩმა ერთშეხებიანი გაგრძელება მიაყოლა და ფრიდელმა სიმწრით გამოიტანა ბურთი კარიდან. და ვინ შეცდა პოლონელთა მეორე გოლისას? ჯეფ აგოსი! სწორედ ის აგოსი, კორეელებთან რომ დაალალატა იანკები და ვერაფრით გამოუძებნა შემცველი ბრიუს არენამ. ისე, აგოსს მოგვიანებით მაინც მოუხდა მოედნის დატოვება, რადგან ოლისადებესთან ჭიდილში დაშავდა.

მოკლედ, მეხუთე წუთი და თამაში დასრულებული იყო. ერთი შეხედვით, კი ცდილობდნენ ბევრს იანკები, მაგრამ მათი შეტევები თავის მოტყუებას უფრო ჰგავდა. ორგანიზებული პოლონელების დაცვის გაჭრას ვერაფრით ახერხებდნენ არენას ბიჭები. ობრაიენის და მაკბრაიდის შორეული დარტყმები კი ვერაფერს აკლებდნენ საიმედოდ მოთამაშე მაიდანს. პოლონელებმა კი თავის მხრივ რამდენიმე ასპროცენტიანი შანსი გაანიავეს და თავაწეულები გავიდნენ შესვენებაზე.

მეორე ტაიმის უმთავრესი მოვლენა მარჩინ ჟევლაკოვის თავური გოლი იყო. ეს ფეხბურთელი ერთი წუთის შესულიც კი არ იყო მოედანზე, იანკებს რომ გაუსამა. მოუსვენარი დონოვანის გოლს კი, ცხადია, ბევრიც არაფერი შეუცვლია. ამერიკა პეფიენდის იმედად იყო, მიიღო კიდეც.

## მატჩის შემდეგ

**ბრიუს არენა**
*აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი*

ამ მატჩის წინ ვინმეს რომ ეთქვა, წააგებთ, მაგრამ ჯგუფიდან მაინც გახვალთო, სულელად ჩავთვლიდი. ასეთ შემთხვევაში ხომ კორეას პორტუგალია უნდა დაემარცხებინა, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. ყველაფერი კი მართლაც ასე მოხდა. მერვედფინალში ძლიერი მეტოქე გველის. მექსიკას შესარჩევი მატჩებიდან ვიცი. ორშაბათს დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

**კლაუდიო რეინა**

მადლობა კორეას. მისი წყალობით გავედით მერვედფინალში. მიზნის მისაღწევად ფრეც გვყოფნიდა, მაგრამ უსუსურად ვითამაშეთ და მატჩის ბოლომდე გვეგონა, რომ ჯგუფში ვრჩებოდით. ასეთ თამაშს მექსიკელებიც არ გვაპატიებენ, რაიმე უნდა ვიღონოთ.

**ირჟი ენგელი**
*პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი*

გონს მაშინ მოვეგეთ, როცა ყველაფერი დაკარგული იყო. ჩვენთვის უმოტივაციო მატჩში გავიმარჯვეთ და ვფიქრობ, მსოფლიოს დავანახვეთ, რომ არც ისეთი უსუსურები ვართ, აქამდე რომ ვჩანდით. ეს გამარჯვება ხასიათს გამოგვიკეთებს და იმედიანად განგვაწყობს. ახლა კი სჯერათ ფეხბურთელებს გამარჯვებისა, მაგრამ უკვე გვიანია.

## სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთთან ყველაზე ადრე ემანუელ ოლისადებე აღმოჩნდა და ექვსი მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა.
**მე-4 წუთი:** ამერიკელებმა საპასუხო გოლის გატანა შეძლეს, თუმცა მსაჯმა ლანდონ დონოვანი დააჯარიმა.
**მე-5 წუთი:** პოლონელთა სწრაფი კონტრშეტევა პაველ კრიშალოვიჩის შედეგიანი დარტყმით დასრულდა.
**მე-10 წუთი:** ბრაიან მაკბრაიდის დარტყმულს რადოსლავ მაიდანი გაუმკლავდა.
**მე-12 წუთი:** კლინტ მეტისმა 18 მეტრიდან ოდნავ ააცილა.
**მე-19 წუთი:** ბრაიან მაკბრაიდის თავური მეკარემ აიღო.
**27-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს ცეზარ კუხარსკიმ შეუჩერებლივ დაჰკრა, თუმცა არაზუსტად.
**29-ე წუთი:** იაცეკ კრჟინოვეკი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა. ბურთი ჟურავსკის მიუვიდა, რომლის გასროლილმაც ძელი „მოიკითხა".
**31-ე წუთი:** ჯონ ობრაიენმა კარს ააცილა.
**37-ე წუთი:** ლანდონ დონოვანის დარტყმულმაც მიზანს ვერ უწია.
**მე-40 წუთი:** ჯონ ობრაიენის დარტყმული ერთდროულად ორ მცველს მოხვდა და რადოსლავ მაიდანმა გაჭირვებით მოიგერია.
**43-ე წუთი:** ჯონ ობრაიენი 25 მეტრიდან ურტყამდა. ბურთი ჯვარედინს გაეხახუნა.
**45-ე წუთი:** იაცეკ კრჟინოვეკს მეკარემ ნახტომში აუღო.
**48-ე წუთი:** იაცეკ კრჟინოვეკმა ცეზარ კუხარსკი მეკარეს პირისპირ შეატოვა, თუმცა ამან უხეიროდ ითამაშა.
**66-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს მარჩინ ჟევლაკოვის შედეგიანი დარტყმა მოჰყვა.
**67-ე წუთი:** კლაუდიო რეინას პასით ჯონ ობრაიენი დარჩა მეკარესთან პირისპირ. მისი დარტყმული რადოსლავ მაიდანმა მოიგერია, კლინტ მეტისმა კი დამატებაზე ცარიელ კარს ააცილა.
**70-ე წუთი:** კლაუდიო რეინას მეკარემ აუღო.
**75-ე წუთი:** ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილმა ჯო-მაქს მურმა ვერ ივარგა.
**76-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილ პაველ კრიშალოვიჩს ტონი სანე ეუხეშა. პენალტი მაცეი ჟურავსკიმ დაარტყა, თუმცა ბრედ ფრიდელმა ივაჟკაცა.
**82-ე წუთი:** კლინტ მეტისმა ხუთი მეტრიდან ძელს გაარტყა.
**83-ე წუთი:** პირისპირ გასულმა ლანდონ დონოვანმა ანგარიში შეამცირა.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. კორეა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 6:4 | 3 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |

# კორეა-იაპონია 2002
## H ჯგუფი. III ტური
## №45 ტუნისი 0:2 იაპონია

14 ივნისი. ოსაკა (იაპონია). 11.30 „ოსაკა ნაგაი სთედიუმ". 45 213 მაყურებელი

0:1 მორიშიმა (48), 0:2 ჰ. ნაკატა (75)




შეცვლა: ინამოტო – 22. იჩიკავა (46), იანაგისავა – 8. მორიშიმა (46), მელკი – 3. ბეია (46), კლეიტონი – 7. მჰუჯები (61), ბუზაიანი – 20. ზიტუნი (79), ჰ. ნაკატა – 19. ოგასავარა (84)

გაფრთხილება: ჯელასი (21, ტუნისის სათადარიგო სკამზე), ბადრა (81)

მსაჯები: ჟილ ვესიე (საფრანგეთი); ფრედერიკ არნო (საფრანგეთი), ჰაიდარ კოლეტი (ლიბანი)

| | | |
|---|---|---|
| 19 | კარიმა | 17 |
| 4 | კუთხური | 9 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 13 |
| 1 | კარში დარტყმა | 7 |
| 2 | თამაშგარე | 1 |



პიდეტოში ნაკატამ სამ მცველს შორის გაისროლა...

# პოლიტიკა და საცვლები

## ტრუსიემ ტრუსები ჩახადა, ქართველმა კი უბილეთოდ იმგზავრა

დავით თავართქილაძე

ჯეიფეხბურთელებმა ტურნირის პირველი ეტაპი ისე გადალახეს, რომ ჯგუფში პირველ ადგილს გამორჩნენ და ბრაზილიასაც ასცდნენ.

ჰყავთ იაპონია და მათი ფეხბურთიც ლონიერია ჯეი-ლიგა, მაგრამ იაპონელებმა არ იუკადრიესს და ეროვნული ნაკრები უცხოტომელს ჩააბარეს.

არც პოლიტიკურად ეშლებათ რამე იაპონელებს. სადაც ფეხბურთი და მათი ეროვნული გუნდი, იაპონიის უფლისწულიც იქვეა — პრინცი არაევგზიუპერულია, მაგრამ მაინც პრინცია.

ცხადია, იაპონიასთან ჩვენნაირი ბეჩავი ქვეყანა როგორ მივა, მაგრამ ამომავალი მზის თუ ჩამავალი მთავარის სამშობლოში თანამედროვე გეოპოლიტიკის საკითხებს თუ ერთი ხელის მოსმით ჩასწვდნენ, ჩვენ რაღა მოგვივიდა?

ჩვენი, ანუ სფფ-ს და საქართველოს ნაკრების თავკაცის რუსეთი სწორედ იაპონიის ჯგუფში გახლდათ, ტურნირის თანამასპინძელსაც დაეჩაგვრინა და ბელგიასაც.

სფფ-სა და საქართველოს ნაკრების მთავარსარდალს ჰგონიათ რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ და მსგავსი რეფლექსები უფრო მწვავედ რუსებსაც ახასიათებთ.

შედეგად, რუსეთს ხელი მოეცარა, ჩვენ კი რუსეთის თვითმფრინავში უბილეთოდ მგზავრობა ხაზვივით შეგვრჩა.

მაგრამ ტუნისს რაღა? რა და არაფერი ბელგიასთან ნათამაშევი ფრის გარდა, რადგან ტუნისელებმა რუსებისა და ქართველების დარად ჯერაც ვერ მოიხვეს უცხოელი, ევროპელი მწვრთნელის მადლი.

თვით ტუნის-იაპონიის მატჩი კი აზიელთა შმაგი და სწრაფი შეტევებით დაიწყო. სიმწვავე და სიმწყობრე აკლდათ იაპონელთა იერიშებს, მაგრამ სისწრაფეში აშკარად ჯაბნიდნენ აფრიკელებს.

ტუნისელთა თამაშის დალაგებას კაის გოლდბენე ლამობდა. ის რაღაცას კი ახერხებდა, მაგრამ ბევრს ვერაფერს.

იაპონია მეტოქის საჯარიმოში და მის მისადგომებთან მაღალი ბურთების ჩაკიდებას მოჰყვა, მაგრამ ამან არ გაჭრა. დაბალ ბურთებსაც ვერ აგორებდნენ მარჯვედ ფილიპ ტრუსიეს ბიჭები და საგოლე მომენტებიც არსად ჩანდა.

ტუნისი ჯიგრით და შეუპოვრად იბრძოდა. ეული ფორვარდი ზიად ჯაზირი აფთრად ეომებოდა მცველებს, მაგრამ მაშველ რაზმს არავინ უგზავნიდა.

აცუში იანაგისავამ შორიდან ცაციათი სცადა ალი ბუმნიჟელის კარის აღება, თუმცა მეკარე მოხდენილად გაიშოტა დაბალ ბურთზე.

ტაიმის მიწურულს ერთი საინტერესო ეპიზოდიც ვიხილეთ — იაპონელთა საჯარიმოში შეჭრილ ჰატემ ტრაბელსს კაზუიუკი ტოდამ ფეხი ფეხში მოარტყა და ტუნისელი აიქსელიც დაეცა. არბიტრმა 11-მეტრიანი არ დანიშნა და მისი გადაწყვეტილების სისწორეც საეჭვო შეიქნა.

მეორე ტაიმში ტრუსიემ შეცვლებს მიმართა, გასახდელში გუნდს ალბათ კარგადაც შემოულაწუნა და მანამდე სუმბურულად მოთამაშე იაპონიაც დალაგდა და გამოცოცხლდა.

ტუნისელმა მცველმა რაუფ ბუზაიანმა ვარდნაში კი აართვა ბურთი ტიკაიუკი სუზუკის, მაგრამ შეცვლაზე შემისულ ჰიროაკი მორიშიმას მიუვიდა ის. ერთი სიტყვით, ბუზაიანი თანაგუნდელებმა ვერ დააზღვიეს და მიროშამამაც ხელსაყრელი პოზიციიდან იხეირა.

იაპონიამ თავისი თამაში გაამრავალფეროვანა კიდეც. ტრუსიეს შეგირდებმა ფლანგურ ჩაწოდებებს მიმართეს. ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს იმავე მორიშიმას მართებდა ერთხელაც გატანა, მაგრამ იჩიკავას პასს თავურით ძელსგარტყმული ბურთი მიაყოლა.

თუმცა დაისუკე იჩიკავას გარჯა მალევე დაუფასდა. მის ფლანგურ ჩაკიდებულს პიდეტოში ნაკატამ ისე დაჰკრა თავი, რომ ბურთი ფეხებშუა გაუძვრა ბუმნიჟელს და ისე შეარხია კარის ბადე.

ტუნისელთა პასუხი ის იყო, რომ ერთი-ორჯერ ტექნიკური ილეთებით წარმოაჩინეს თავი. ხოლო შეცვლაზე შესულ ალი ზიტუნს ორჯერ მიეცა საგოლე შანსი — ჯერ მაკრატელათი ააცდინა მიზანს, მერე მეტოქე მცველის რიკოშეტით ხარიხა შეაზანზარა.

–ტრუსიემ ტრუსები რუსებსაც ჩახადა და ტუნისელებსაც.

### მატჩის შემდეგ

**ამარ სუაია**
*ტუნისის ნაკრების მწვრთნელი*

ძნელი იყო იაპონელთა საკუთარ მოედანზე დამარცხება, მაგრამ არა შეუძლებელი. ისინი ამ ტურნირისთვის წლების მანძილზე ემზადებოდნენ და ჩვენზე გაცილებით უკეთაც გამოიყურებოდნენ.

შემდეგ ეტაპზე გასვლა უპირველესი ამოცანა არ ყოფილა. გვსურდა, ტუნისური ფეხბურთი მსოფლიოსთვის დადებითი კუთხით გაგვეცნო. არ ვიცი, ეს როგორ გამოგვივიდა, მაგრამ ერთიცაა: აფრიკის თასის შემდეგ მოსამზადებლად საკმარისი დრო არ გვქონდა. ყველაფერს რეალურად უნდა შევხედოთ, ჯგუფში უკეთესი გუნდები იყვნენ და თამაშსაც ისინი აგრძელებენ. ამ ჩემპიონატმა დიდი გამოცდილება შეგვძინა.

**ფილიპ ტრუსიე**
*იაპონიის ნაკრების მწვრთნელი*

ვფიქრობ, შედეგი სამართლიანია, როგორც ამ მატჩის, ისევე ჯგუფური ეტაპისა. მერვედფინალში გასვლას ვიმსახურებდით, ჩვენი მთავარი ამოცანაც ეს იყო, მაგრამ ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ. ძალებიც საკმაოდ შეგვრჩა და სამშობლოში თამაშიც დიდ სტიმულს გვაძლევს.

პირველ ტაიმში ცოტა გაგვიძნელდა. შესვენებაზე გაკეთებულმა შეცვლებმა გაგვიმართლა. მორიშიმა და იჩიკავა კარგად ჩაერთვნენ თამაშში და გოლებიც მათი წყალობით გავიდა. მორიშიმასთვის ოსაკა მშობლიური ქალაქია და ის ორმაგი ძალებით იბრძოდა. თუმცა მადლობა ყველას, მათ სული და გული ჩააქსოვეს თამაშში და თუ ასევე გააგრძელებენ, კიდევ შორს წავალთ.

### სტენოგრამა

**მე-7 წუთი:** ტაკაიუკი სუზუკის ძლიერი დარტყმა კარს ასცდა.

**34-ე წუთი:** აცუში იანაგისავას მეკარემ აუღო.

**37-ე წუთი:** აცუში იანაგისავა კუთხურიდან პირდაპირ კარში ახვევდა, თუმცა ალი ბუმნიჟელიმ იმარჯვა.

**39-ე წუთი:** რაჯი ჯაიდის სახიფათო დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

**49-ე წუთი:** საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ჰიროაკი მორიშიმამ ბურთი მიიღო და ნახევარბრუნში ულამაზესი დარტყმით პირველი გოლი გაიტანა.

**53-ე წუთი:** ჰიროაკი მორიშიმა 8 მეტრიდან ნახტომში თვით ურტყამდა — ბურთი ძელს მოხვდა.

**65-ე წუთი:** პიდეტოში ნაკატას საჯარიმოდან ბურთი შინჯი ონოს მიუვიდა, რომლის თავურიც მეკარემ გაჭირვებით გააუვნებლა.

**66-ე წუთი:** პიდეტოში ნაკატამ კარს ააცილა.

**67-ე წუთი:** ზიად ჯაზირის სახიფათო დარტყმა მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა.

**75-ე წუთი:** დაისუკე იჩიკავამ საჯარიმოში ჩააწოდა — პიდეტოში ნაკატამ ვარდნაში ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაზარდა.

**82-ე წუთი:** ალი ზიტუნის გასროლილი ხარიხას მოხვდა.

**85-ე წუთი:** შინჯი ონომ ოდნავ ააცილა კარს.

**87-ე წუთი:** ზუბეირ ბეიას დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**90-ე წუთი:** ბენ-აშურის ბრწყინვალე დარტყმულმა ჯვარედინს წაჰკრა.



–წამიც და ალი ბუმნიჟელი საკუთარ კარში მეორე გოლს იხილავს

# ᲙᲝᲠᲔᲐ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 2002
## H ᲯᲒᲣᲤᲘ. III ᲢᲣᲠᲘ

# №46 ᲑᲔᲚᲒᲘᲐ 3:2 ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲡᲘᲖᲣᲝᲙᲐ (ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ). 11.30, „ᲡᲘᲖᲣᲝᲙᲐ ᲔᲙᲝᲞᲐ". 46 640 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

1:0 ვალემი (7), 1:1 ბესჩასტნიხი (52), 2:1 სონკი (78), 3:1 ვილმოტსი (82), 3:2 სიჩევი (88)




ᲨᲔᲪᲕᲚᲐ: სმერტინი – 22. სიჩევი (34), ნიკიფოროვი – 18. სენიკოვი (42), მპენზა – 9. სონკი (70), ვერჰეინი – 6. სიმონსი (79), კარპინი – 16. კერჟაკოვი (84), დე ბოეკი – 4. ვან მეირი (90)

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: სოლომატინი (12), სმერტინი (14), ვანდერეგე (39), ალენიჩევი (64), სენიკოვი (84)

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია); ფილიპ შარპი (ინგლისი), კომალესვარან სანკარი (ინდონეზია)

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 18 |
| 11 | კუთხური | 3 |
| 17 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 7 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 4 |

# ᲗᲔᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ



უესლი სონკის (მარცხნივ) თავურმა რუსთა დაცვა გაარღვია

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲑᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

**ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ** დამთავრებიდან ნახევარ საათში რუსეთის ნაკრების მწვრთნელებმა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს თავისი გადადგომის შესახებ მოახსენეს. რუსებმა, ისევე, როგორც რვა წლის წინ, ჯგუფიდან გასვლა ვერ მოახერხეს, უფრო ორგანიზებულ ბელგიასთან წააგეს, არადა, პლეი ოფში მოსახვედრად ფრეც ჰყოფნიდათ.

თამაშის წინ ოლეგ რომანცევი ამბობდა, ვეცდებით შერეული ვარიანტით ვითამაშოთ, დაცვასაც მივხედოთ და შევუტიოთ კიდეცო, მაგრამ აშკარად დაცვითი ვარიანტი აირჩია. თითქოს მოუხეშავი ბელგიელების წინააღმდეგ სწრაფი სიჩევის, იზმაილოვისა და კერჟაკოვის მინდორზე გაყვანა უფრო მართებული ჩანდა, მწვრთნელები კი ისევ ძველების იმედად დარჩნენ. მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ფორვარდი, ვლადიმირ ბესჩასტნიხი ათამაშეს.

ახლა რომანცევის თანაშემწე მიხაილ გერშკოვიჩის სიტყვებიც გავიხსენოთ: ბელგიასთან ფრეც გვაწყობს, ამიტომ მთავარი ფეხბურთელების ფსიქოლოგიური განწყობა იქნება, თუ მოედანზე იმის ფიქრით გახვედი, ოღონდ არ წავაგოო, აუცილებლად დამარცხდები. ამიტომ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთო. ანუ თეორიულად რუსები სწორად ფიქრობდნენ, სინამდვილეში კი სხვაგვარად გამოვიდა. გერშკოვიჩი იმასაც ამბობდა, მარკ ვილმოტსს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ, ის სულ მოძრაობაშია, თავისუფალ ზონებს ეძებს და ხშირად პოულობს კიდეცო. აქაც მართალი გამოდგა რუსთა დამრიგებელი, სწორედ ვილმოტსის მესამე გოლმა გადაწყვიტა თამაშის ბედი. საერთოდ, გერმანული „შალკეს" ეს 33 წლის ნახევარმცველ-თავდამსხმელი წლევანდელ ტურნირზე ბელგიელთა გაჭირვების ტალკვესად იქცა, სამივე მატჩში უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანა და თამაშითაც ისე თამაშობს ნაღდ კაპიტანს რომ შეშვენის.

მოკლედ, რუსებმა ფონს გასვლა თავდაცვით გადაწყვიტეს და დაისაჯნენ კიდეც. ბელგიამ კი უფრო განსწავლული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. უკვე მე-7 წუთზე იოჰან ვალემის 20 მეტრიდან დარტყმული საჯარიმოდან ბურთი რუსლან ნიგმატულინის კარის ცხრიანში აღმოჩნდა. „ეშმაკუნებს" რამდენჯერმე კიდევ შეეძლოთ გატანა, რუსებს კი პირველ ნახევარში დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნიათ. ტაიმის შუაში რომანცევმა სმერტინის ნაცვლად მინდორზე მარდი სიჩევი გაიყვანა, შედეგად თავდამსხმელების უკან მარჯვნიდან კარპინმა გადაინაცვლა, ხოლო პლეიმეიკერმა ტიტოვმა საყრდენის ადგილი დაიკავა. 18 წლის სიჩევმა ამჯერადაც ივარგა, შესვენების შემდეგ სწორედ მის გარღვევას მოჰყვა ბესჩასტნიხის საპასუხო გოლი, ბოლოსკენ კი ჭაბუკმა სპარტაკელმა თავად შეაგდო. მაგრამ განა მარტო სიჩევი უშველიდათ? საჭირო ვითარებაში რუსებმა ტემპს ვერ მოუმატეს და მოწინააღმდეგეს საკუთარი თამაში თავს ვერ მოახვიეს. ამიტომ შეცვლაზე შესული სონკის და ვილმოტსის გოლებიც ლოგიკური გახლდათ.

ბელგია მერვედფინალში ბრაზილიას შეხვდება, რუსეთი კი შინ მიემგზავრება. რუსები საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან მომავალ შესარჩევ ციკლში და მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაც ბუნებრივია. იაპონიაში ერთობ საშუალო გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ შემოდგომაზე ალბათ უფრო გაახალგაზრდავებულ შემადგენლობას ვიხილავთ. ახალგაზრდები კი, მართლაც ძალიან პერსპექტიულები ჰყავთ.

გუშინ ეროვნული გუნდის მაისურა მეასედ მოირგო რუსთა კაპიტანმა ვიქტორ ონოპკომ, ეს საიუბილეო მატჩი მისთვის წაგებული გამოდგა.

ახლა ცოტა მოსკოვურ ამბებზეც ვთქვათ. 9 ივნისს „მანეჟნიზე" მომხდარი არეულობების შემდეგ დიდ ეკრანზე თამაშის ცქერა მთავრობას არ აუკრძალავს, უსაფრთხოების ზომები კი გააძლიერეს. სააგენტო „რია-ნოვოსტის" ცნობით, გუშინ დილით მოსკოვის ქუჩებში წესრიგს დაახლოებით 10 ათასი მილიციელი და ომონელი იცავდა. დიდი ეკრანები კი „მანეჟნიზე", „ხამოსკვორეცკაიაზე", ახალ არბატზე და „პოკლონნაია გორაზე" დაემონტაჟებინათ. სპირტიანი სასმელების და შუშის ბოთლებში ჩამოსხმული ყოველგვარი სითხის გაყიდვა ხალხის დაშლამდე აკრძალეს, მაგრამ, როცა ქომაგები წავიდ-წამოვიდნენ ასფალტი ლუდის ალუმინისა და პლასტიკური ტარით ყოფილა სავსე. ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. სამართალდამცავებმა კი ოცამდე ადამიანი დააკავეს, რომლებიც 9 ივნისის არეულობის მონაწილეები ყოფილან.

მატჩის ტრანსლაციისას „მანეჟნიზე" მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი და სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკიც მისულან. ჰოდა, აბა, ხულიგნებს იქ ვინ გააჭაჭანებდა. შეშფოთებულია ბელგიის საელჩოც მათ მოსკოვის ხელისუფლებისთვის დიპწარმომადგენლობის შენობის დაცვა უთხოვიათ, თავად ელჩი ანდრე მერნიე ახლა საქართველოშია მივლინებით. თხოვნა, ცხადია, შესრულდა. თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი წყნარად დამთავრდა.



დმიტრი სიჩევი ამაოდ გაისარჯა

## ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

**ᲠᲝᲑᲔᲠ ᲕᲐᲡᲔᲟᲘ**
*ბელგიის ნაკრების მწვრთნელი*

უზომოდ გამიხარდა. დავამტკიცეთ, რომ ჯერ არ ვართ სამშობლოში გასაბრუნებელი გუნდი, როგორც რუსები ამბობდნენ. დრამატული მატჩი გამოვიდა, მეტოქეს მაშინ ვძლიეთ, როცა თავი მერვედფინალში ეგონა.

შეცვლებმა გაამართლა, რაც ფეხბურთში, არც ისე ხშირად ხდება. წინ ბრაზილია გველის და ამით ყველაფერია ნათქვამი. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს რომ ვხვდებით, ეს სულაც არ აკნინებს ჩვენს შემართებას. პირიქით, ვეცდებით, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინოთ.

**ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲝᲜᲝᲞᲙᲝ**

ეს ტრაგედიაა, ბელგიელებმა მაშინ გადაგვიწურეს იმედები, როცა მიზნამდე ცოტაღა გვაკლდა. ყველა ფეხბურთელი გაოგნებულია.

**ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲘ**
*მთავარი მწვრთნელის ასისტენტი*

უხეირო დასაწყისის შემდეგ მოვახერხეთ მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ შემდეგ კარგად გამოჩნდა ჩვენი სუსტი წერტილები. შეგვეძლო მეორე გოლის გატანა და საქმის მოთავება, მაგრამ ვერ შევძელით და დავისაჯეთ. ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრმა დაგვღუპა, ბელგიამ ეს არ გვაპატია.

**ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ᲑᲔᲚᲒᲘᲐ | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ᲠᲣᲡᲔᲗᲘ | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ᲢᲣᲜᲘᲡᲘ | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

## ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲛᲐ

**მე-5 წუთი:** დმიტრი ალენიჩევმა საჯარიმოში ჩააწოდა. დმიტრი ხოხლოვს მეკარემ დაასწრო.

**მე-7 წუთი:** იოჰან ვალემის საჯარიმო დარტყმა უზადო იყო — 1:0.

**მე-9 წუთი:** მბო მპენზას რუსლან ნიგმატულინმა აუღო.

**მე-12 წუთი:** გლენ დე ბოეკის თავური კარს ასცდა.

**მე-19 წუთი:** ალექსეი სმერტინის დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**26-ე წუთი:** მბო მპენზას სახიფათო დარტყმას იური კოვტუნი გადაეფარა.

**28-ე წუთი:** გერტ ვერჰეინმა კარს ააცილა.

**33-ე წუთი:** ალექსეი სმერტინი კარგ პასს აძლევდა ვლადიმირ ბესჩასტნიხს, თუმც მცველმა იყოჩაღა.

**39-ე წუთი:** იოჰან ვალემის გასროლილმა მიზანს ვერ უწია.

**39-ე წუთი:** დმიტრი სიჩევის დარტყმა მეკარემ გააუვნებლა.

**42-ე წუთი:** ვლადიმირ ბესჩასტნიხმა დმიტრი სიჩევს დაუგორა, რომლის დარტყმული მეკარემ მოიგერია.

**44-ე წუთი:** გერტ ვერჰეინმა კარგი პასი მისცა მარკ ვილმოტსს. მისი დარტყმული ზემოდან გადასცდა კარს.

**45-ე წუთი:** დმიტრი ხოხლოვმა ოდნავ ააცილა.

**48-ე წუთი:** ეგორ ტიტოვმა კარგი პასი გაუხერხა ვლადიმირ ბესჩასტნიხს, რომელსაც გერტ დე ფლიგერმა აუღო.

**49-ე წუთი:** მარკ ვილმოტსს დარტყმა არ გამოუვიდა.

**52-ე წუთი:** დმიტრი ხოხლოვმა დმიტრი სიჩევი პირისპირ გაიყვანა. დე ფლიგერმა კი მოიგერია, მაგრამ ვლადიმირ ბესჩასტნიხმა დამატებაზე ივარგა.

**54-ე წუთი:** მბო მპენზამ განივი პასი გააკეთა საჯარიმოში. მარკ ვილმოტსმა უხეიროდ მოიქნია, იოჰან ვალემმა კი ცარიელ კარს ააცილა.

**62-ე წუთი:** ვლადიმირ ბესჩასტნიხის თავური არაზუსტი გამოდგა.

**63-ე წუთი:** ივ ვანდერეგე 18 მეტრიდან ურტყამდა — მეკარემ იმარჯვა.

**68-ე წუთი:** მარკ ვილმოტსის თავური კარს ასცდა.

**75-ე წუთი:** ეგორ ტიტოვის სახიფათო პასს დმიტრი სიჩევი ვერ მისწვდა.

**78-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს უესლი სონკის საგოლე თავური მოჰყვა.

**81-ე წუთი:** ბარტ გოორმა მარკ ვილმოტსს გადააწოდა, რომლის დარტყმულიც რუსთა კარის მარცხენა კუთხეში მოთავსდა.

**89-ე წუთი:** დმიტრი ალენიჩევმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა დმიტრი სიჩევი. სიჩევმა უნაკლოდ დაარტყა.

**90-ე წუთი:** ალექსანდრ კერჟაკოვის თავური კარს ასცდა.

# III ტურის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის" ვერსია)






ჩავხედოთ ბომბარდირთა სიას: თავში გერმანელი მიროსლავ კლოზეა ხუთი თავურით. მას იონ დალ ტომასონი და რონალდო მოსდევენ ოთხ-ოთხით, არადა, ბრაზილიელს თითქოს სამი უნდა ჰქონდეს.

დავითვალოთ: პირველი გოლი რონალდომ თურქებს შეუგდო, მეორე ჩინელებს, ბოლო ტურში კი კოსტარიკელთათვის გატანილი ხუთი ბრაზილიური გოლიდან რონალდოსი მეორე იყო. მოკლედ, სამი გამოდის. მაგრამ გუშინ ფიფამ გამოაცხადა, რომ კოსტარიკელ მარინის ავტოგოლის ავტორობა ჩამოერთვა და გოლი რონალდოს ებოძა.

რონალდო, ცხადია, კმაყოფილია და აუზშიც ნებივრობს. ისე, თუ დააკვირდებით, ღიპიც მოზრდილი აქვს.

# საძღვევისო ვითარება

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 5 | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 4 | იონ დალ ტომასონი | (დანია) |
| | რონალდო | (ბრაზილია) |
| 3 | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| | პედრუ პაულეტა | (პორტუგალია) |
| | პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| | რაული | (ესპანეთი) |
| | რივალდო | (ბრაზილია) |
| | მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| 2 | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო იერო | (ესპანეთი) |
| | იუნიჩი ინამოტო | (იაპონია) |
| | რობი კინი | (ირლანდია) |
| | ნელსონ კუევასი | (პარაგვაი) |
| | ჰასან შაში | (თურქეთი) |
| | რონალდ გომესი | (კოსტა რიკა) |
| | ხარედ ბორგეტი | (მექსიკა) |

| ავტოგოლი | | |
|---|---|---|
| 1 | ესტანისლაო სტრუვაი | (პარაგვაი) |
| | ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| | ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| | კარლეს პუიოლი | (ესპანეთი) |

**წითელი ბარათი**

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალფაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაკან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)
კარსტენ რამელო (გერმანია)
პატრიკ სუფო (კამერუნი)
კლაუდიო კანიჯა (არგენტინა)
კარლოს პარედესი (პარაგვაი)
ნასტია ჩეჩი (სლოვენია)
შაო ჟიაი (ჩინეთი)
ჟოაუ პინტუ (პორტუგალია)
ბეტუ სევერუ (პორტუგალია)

# იუბილარი



## კობი ჯოუნსი
## (აშშ) 16.06.1970

ამერიკის ნაკრების გამოცდილებაზე, აბა, რა გითხრათ, როგორც გაძვრა მერვედფინალში, თავად ნახავდით, მაგრამ ერთი ისეთი კაცი ჰყავს, მისი ბარე ორს შემშურდება.

ეს სასაცილო იერის კაცი — კობი ჯოუნსი, რომელსაც ხვალ ოცდათორმეტი წელი უსრულდება, ეროვნულ გუნდში უკვე ათი წელია თამაშობს და მხრებზე 158 მატჩი წამოუკიდებია. ამ მაჩვენებლით მას ამერიკაში ბადალი არ ჰყავს, მსოფლიოში კი მეოთხე ადგილზეა მოჰამედ ალ-დაიეას, კლაუდიო სუარესისა და ჰოსამ ჰასანის შემდეგ. გოლებით კი ვერ დაიკვეხნის, ამ ათ წელიწადში, უფრო ზუსტად კი 1992 წლის 2 სექტემბრის შემდეგ ოდენ თოთხმეტჯერ გაუტანია.

კობი ჯოუნსი უკვე მესამე მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა, სადაც ჯამში რვა მატჩი დაუგროვდა.



## ედვინ ტენორიო
## (ეკვადორი) 16.06.1976

ბედმა ინება, რომ ედვინ ტენორიო დაბადების დღეს შინ შეხვედროდა. მისი ნაკრები ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდა, თუმც სამშობლოში შერცხვენილი არ დაბრუნებულა.

ედვინის (ნაკრებში მისი მოგვარე კარლოს ტენორიოც თამაშობდა) მშრალი სტატისტიკური მონაცემები ასეთია: სიმაღლე — 168სმ, წონა — 68კგ, პოზიცია — ნახევარმცველი, სანაკრებო მატჩების რაოდენობა — 34, სანაკრებო გოლი — 0, კლუბი — „ბარსელონა", ცხადია, ფეხბურთში ჩახედული კაცი ედვინ ტენორიოს ძებნას კატალონიურ „ბარსელონაში" არ დაუწყებს, საქართველოში თუ არის „მილანი", ეკვადორში რატომ არ შეიძლება იყოს „ბარსელონა". ედვინ ტენორიომ ამ მუნდიალზე ორ მატჩში ითამაშა, სულ 92 წუთი.




იყიდება სასწრაფოდ!
ლაზერული პრინტერი
LASERJET 5000N
ნახმარ მდგომარეობაში
ტელ. 38-11-14, 39-48-29
ფასი შეთანხმებით


# ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

ჩატარდა — 48 მატჩი, 34 მოგება, 14 ფრე
სულ გავიდა 130 გოლი, საშუალოდ მატჩში — 2.71
პირველ ტაიმში გავიდა 53 გოლი, მეორეში — 77
ყველაზე სწრაფი გოლი — პოლონელი ემანუელ ოლისადებე (მე-3 წუთზე, III ტურში აშშ-სთან)
ყველაზე შედეგიანი გუნდი — გერმანია, ბრაზილია (11-11 გოლი)
ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი — მიროსლავ კლოზე (გერმანია, 5 გოლი)
ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — გერმანია (46)
ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — რონალდო (ბრაზილია, 14), პედრუ პაულეტა (პორტუგალია, 14), ალვარო რეკობა (ურუგვაი, 14)
ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — ბრაზილია (27)
ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — რონალდო (ბრაზილია, 10)
ყველაზე ცოტა კარისკენ დარტყმა — ჩინეთი (19)
ყველაზე ნაკლებად კარში დარტყმა — ტუნისი (6)
ყველაზე უხეში მატჩი — იაპონია — რუსეთი (62 ჯარიმა)
ყველაზე უხეში გუნდი — იაპონია (77 ჯარიმა)
ყველაზე უხეში ფეხბურთელი — კლებერ კალა (ეკვადორი, 17)
ყველაზე მეტჯერ ეუხეშნენ — ელ-ჰაჯი დიუფი (სენეგალი, 17)
ყველაზე კორექტული მატჩი — ნიგერია — ინგლისი (19 ჯარიმა)
ყველაზე კორექტული გუნდი — ესპანეთი (35 ჯარიმა)
დაფიქსირდა 13 წითელი და 196 ყვითელი ბარათი
ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი — მესამე ტურის კამერუნი — გერმანია (16)
მეორე ტურის გერმანია — ირლანდიის და მესამე ტურის ნიგერია — ინგლისის მატჩებში მსაჯს არავინ გაუფრთხილებია
ყველაზე „ყვითელი" გუნდი — სლოვენია (11)
4 ავტოგოლი — (ესტანისლაო სტრუვაი, პარაგვაი; ჟორჟე კოშტა, პორტუგალია; ჯეფ აგოსი, აშშ; კარლეს პუიოლი, ესპანეთი)
პროცენტულად ყველაზე მეტჯერ ბურთს ფლობდა არგენტინა (66, შვედეთთან)
ყველაზე მეტი კუთხური — არგენტინა (33)
ყველაზე ნაკლები კუთხური — საუდეთი (4)
ყველაზე მეტჯერ, 17-17-ჯერ მოხვდნენ ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში ბრაზილია და სენეგალი
ყველაზე ნაკლებად, 2-ჯერ მოხვდა ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში იაპონია
ჩემპიონატის ჯერ-ჯერობით რეკორდული შედეგი — გერმანია 8:0 საუდეთი
უგოლოდ დასრულდა მეორე ტურის საფრანგეთი — ურუგვაი და მესამე ტურის ნიგერია — ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. მერვედფინალი. №49**

## გერმანია — პარაგვაი

დღეს. სეოგვიპო (კორეა). „სეოგვიპო ჯეი ვორლდ კაპ სთედიუმ“. 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| კანი, რემერი, მეცელდერი, ლინკე, ფრინგსი, შნაიდერი, იერემისი, ბალაკი, ბოდე, კლოზე, ნოივილი | ჩილავერტი, არსე, გამარა, აიალა, კასერესი, კანისა, ფრანკო, აკუნია, ხორხე კამპოსი, კარდოზო, სანტა კრუზი |
| მწვრთნელი: რუდი ფიოლერი | მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი |

**მსაჯი: კარლოს ბატრესი (გვატემალა)**

# კაპიტანმა უპატაკა

## კანმა ბალაკს ტკივილი აუკრძალა

დავიწყოთ იმით, რომ ეს გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. ახლა კი 83 მილიონიანი გერმანია დაახლოებით ჩვენ ხელა, 5,5 მილიონიან პარაგვაის გაეჯიბრება.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე პარაგვაი სწორედ მერვედფინალიდან დაემშვიდობა ტურნირს.

გერმანელებმა კი მას შემდეგ, რაც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალში არგენტინასთან 2:3 წააგეს, სამხრეთამერიკელებთან აღარ დამარცხებულან.

ბოლო დროს ბუნდესნაკრებზე გულაცრუებულ გერმანელებს რუდი ფიოლერმა იმედი აჩუქა. მართალია, შესარჩევ ციკლში გუნდი შინ ინგლისთან 1:5 დამარცხდა, მაგრამ ამას დღეს აღარ უხსენებენ ფიოლერს. გერმანიაში კიდევ ერთხელ იწამეს „ნაციონალმანშაფტი“, მისი დიადი ისტორია და კრიზისიდან თავის დაღწევის პერსპექტივაც.

და თუ გერმანელებმა დღესაც მოიგეს, რუდი ფიოლერს მხოლოდ და მხოლოდ გუნდის ფინალში გაყვანას მოსთხოვენ. აი, დაახლოებით ასეთნაირად სჯერიან და კერავენ აზრებს გერმანიაში.

„გვინდა, რომ დაკარგული ღირსება დავიბრუნოთ“ — ეს სიტყვები კარლ-ჰაინც რუმენიგემ უთხრა „როიტერს“, დიდმა გერმანელმა და შეუპოვარმა კაპიტანმა, რომელიც ახლა მიუნხენის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტია.

ცხადია, რუმენიგე ოდენ პარაგვაის ძლევას და მეოთხედფინალში გასვლას არ გულისხმობდა — გამარჯვებებით დამშეულ გერმანიას მადა გაეხსნა.

ერთიცაა, მსოფლიოს ჩემპიონატის ტრადიციული ფავორიტები, საფრანგეთი და არგენტინა უკვე აიბარგნენ კორეა-იაპონიიდან, ტურნირს ახლა მხოლოდ ოთხი ჩემპიონი, ბრაზილია, გერმანია, იტალია და ინგლისი შემორჩა.

რუდი ფიოლერმა დანაპირები, პროგრამა-მინიმუმი შეასრულა — გერმანია პირველ ეტაპს გასცდა, გუნდი ჯერაც დაუმარცხებელია, ხოლო მიროსლავ კლოზე ტურნირის მთავარმეგოლეა. ამბციები აქედანაც მოდის.

ფრანც ბეკენბაუერმა კი სხვათა გარდა მშობლიურ ნაკრებზე ისიც თქვა, გუნდს ნამდვილი ლიდერი არ ჰყავს, მაგრამ, სამაგიეროდ, არც ისეთი ფეხბურთელი, რომელიც გუნდში პრობლემებს შექმნიდაო.

„გუნდური სული არსებითია და ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც მჯერა, რომ შორს წასვლა შეგვიძლია“ — ეს ნაკრების კაპიტნის ოლივერ კანის სიტყვებია. იენს იერემისმა კი გულწრფელად თქვა, 30 მაისს იოკოჰამაში ფინალის თამაშზე ვოცნებობ, პარაგვაისთან კი ვფიქრობ, ძალიან მკაცრი თამაში იქნებაო.

გამაფრთხილებელი განცხადება ფიოლერის თანაშემწე მიხაელ სკიბეს ხვდა წილად: „პარაგვაიმ შესარჩევ ციკლში ბრაზილიას მოუგო, ხოლო არგენტინას ორჯერ ფრე ეთამაშა, რაც ამ გუნდის უნარზე და შესაძლებლობებზე მეტყველებს“.

ჩვენ იმასლა დავამატებთ, რომ პარაგვაის ნაკრებს გამოცდილი ევროპელი სპეციალისტი, იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი ჩეზარე მალდინი მოძღვრავს. გამოჩნდა, რომ ხრიკები მალდინის არ დავიწყებია. გაიხსენეთ პარაგვაის ბოლო მატჩი ჯგუფში სლოვენიასთან, როცა ჩეზარემ მოედანზე „რივერ პლეიტის“ შემტევი ნელსონ კუევასი შეუშვა, რომელიც ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში და ორი გოლიც მიითვალა.

„ჩვენ ძლიერი ხასიათი და მიზანსწრაფვა გამოვამჟღავნეთ. ახლა კი გერმანია გველის. რთული მატჩი იქნება“ — სიტყვამუნწი გახლდათ გუშინდელ პრესკონფერენციაზე უფროსი მალდინი.

გერმანელებს სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი მოაკლდებათ — კარსტენ რამელო, დიტმარ ჰამანი და კრისტიან ციგე. მათ, შესაძლოა, ტრავმირებული მიხაელ ბალაკიც დაემატოს, თუმც ამაზე ქვემოთ.

რუდი ფიოლერმა ამასთან დაკავშირებით თქვა: „ჩვენ შეჩვეულნი ვართ პრობლემების გამო გადაწყობას. ვიცით, როგორ იბადება ახალი გუნდი“.

იენს იერემისი, რომელსაც დღეს ძირითადში აუცილებლად ათამაშებენ, ამბობს: „სამი, ოთხი ან ხუთი ახალი ფეხბურთელი, რომელიც სასტარტოში იქნება, მხნე და დასვენებული უნდა იყოს და აგრეთვე ძალიან მონდომებული“. იერემისმა წინასამატჩო ამბებზე საუბარი იმით დაამთავრა, რომ თავისი ბაიერნელი თანაგუნდელი და დღეის მეტოქე როკე სანტა კრუზი აქო.

დაბოლოს, შეპირებული ამბავი მიხაელ ბალაკზე. გერმანიის ნაკრებისთვის ეს ფეხბურთელი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მას ორი დღეა, არ ვარჯიშია. ბალაკს წვივის კუნთი სტკივა, გადამაბული და გამაგრებული აქვს. „ჩვენ წინ ჯერ კიდევ 24 საათი გვაქვს და ვფიქრობ, ის შეძლებს ხვალ თამაშს“ — იმედიანად იყო გუშინ რუდი ფიოლერი, რომელმაც ნათქვამს ესეც დაამატა — „ის ფაქტი, რომ ბალაკს ვარჯიში არ შეუძლია, რეალურად პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან მის კუნთს ახლა დასვენება უფრო სჭირდება, ვიდრე მუშაობა“.

უდრეკმა და ცივსისხლიანმა ოლივერ კანმა კი თავისებურად მოხაზა სიტუაცია: „რასაკვირველია, ფატალური იქნება თუ ბალაკი ვერ შეძლებს თამაშს. მაგრამ მე არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ის არ ითამაშებს. როცა შენ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხარ, ტკივილი მალე უნდა დაივიწყო“.

**დავით თავართქილაძე**





მიხაელ ბალაკი რუდი ფიოლერის იმედია



როკე სანტა კრუზი (მარჯვნივ) დღეს ბაიერნელ მეგობრებს შეხვდება



## იუბილარი

## ოლივერ კანი (გერმანია) 15.06.1969

**ოლივერ კანი** დღეს ოცდაცამეტისა მოიყარა და თანაგუნდელები ირლანდიის მოჭრილ თავს თუ მიართმევენ საჩუქრად, მათ ბიჭობაზეა დამოკიდებული. ისე კი, თავად ბუნდესმეკარესაც მართებს გერმანიის დასაჩუქრება ბრწყინვალე თამაშით, რაც მას მოგეხსენებათ, ეხერხება.

შვიდი წლის ოლი კანი მშობლებმა „კარლსრუეში“ მიიყვანეს, მშობლიური ქალაქის გუნდში და ცხრამეტ წლამდე ახალგაზრდულ შემადგენლობაში თამაშობდა. თავიდანვე ეტყობოდა, კარგი მეკარე რომ იყო, მაგრამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში არასდროს მიუწვევიათ. 1990 წელს კი ბუნდესლიგური დებიუტი ჰქონდა.

კანს იმის დასამტკიცებლად, რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებდა სამი სეზონი დასჭირდა და 1993 წლის ოქტომბერში სათადარიგო გოლკიპერად მიიწვიეს. მომდევნო წელს მან მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიარა, თუმც არ უთამაშია — კარში ბოდო ილგნერი იდგა.

მუნდიალიდან დაბრუნებული კანი „ბაიერნმა“ იყიდა, მასში ორ მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა, რაც მეკარეში იმ დროისთვის არნახული თანხა იყო. ძვირად შეძენილი კანი, ცხადია, ბაიერნელთა ძირითადი მეკარე გახდა.

მერე უცნაური რამ მოხდა — 1994 წლის ნოემბერში კანი დაშავდა, ფეხბურთს ხუთი თვით ჩამოშორდა, დაბრუნების შემდეგ კი ყველამ აღნიშნა, რომ ის ახლა უკეთ თამაშობდა, ვიდრე დამტვრევამდე.

ორი წლის მანძილზე ბუნდესნაკრების სათადარიგო მეკარედ ყოფნის შემდეგ, 1995 წლის 23 ივნისს გერმანია-შვეიცარიის მატჩში კანის სრულფასოვანი დებიუტი შედგა, მაგრამ ევრო 96-ზე ის კვლავ სათადარიგოთა სკამს ხვდა. ამჯერად ნომერ პირველი მეკარე ანდრეას კოპკე გახლდათ. ამიტომაცაა, რომ კანს, ვისაც ნაკრებში უკვე ცხრა წელი იწვევენ, ამ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ოდენ 45 კეპი ჰქონდა.

2000 წელს ის გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად და ევროპის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს, საკლუბო ტიტულების ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. მერვედფინალი. №50

# დანია — ინგლისი

დღეს. ნიიგატა (იაპონია). „ნიიგატა სთადიუმ ბიგ სვან". 16.30

### სავარაუდო შემადგენლობები

| დანია | ინგლისი |
|---|---|
| სორენსენი, ჰელვეგი, ჰენრიკსენი, ლაურსენი, ნ. იენსენი, გრავესენი, ტოფტინგი, პოულსენი, სანდი, რომედალი, იორგენსენი | სიმენი, მილსი, ფერდინანდი, კემპბელი, ე. კოული, ბექემი, ბათი, სქოულზი, სინკლერი, ოუენი, ჰესკი |
| მწვრთნელი: მორტენ ოლსენი | მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი |

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

### ურთიერთშეხვედრები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1948 | ამ | დანია 0:0 ინგლისი | 1982 | ეჩშ | დანია 2:2 ინგლისი |
| 1955 | ამ | დანია 1:5 ინგლისი | 1983 | ეჩშ | ინგლისი 0:1 დანია |
| 1956 | მჩშ | ინგლისი 5:2 დანია | 1988 | ამ | ინგლისი 1:0 დანია |
| 1957 | მჩშ | დანია 1:4 ინგლისი | 1989 | ამ | დანია 1:1 ინგლისი |
| 1966 | ამ | ინგლისი 2:0 დანია | 1990 | ამ | ინგლისი 1:0 დანია |
| 1978 | ეჩშ | დანია 3:4 ინგლისი | 1992 | ეჩ | დანია 0:0 ინგლისი |
| 1979 | ეჩშ | ინგლისი 1:0 დანია | 1994 | ამ | ინგლისი 1:0 დანია |

შენიშვნა: ამ — ამხანაგური მატჩი, მჩშ — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ეჩშ — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი, ეჩ — ევროპის ჩემპიონატი




მორტენ ოლსენის ჭოლები იონ დალ ტომასონი და სტიგ ტოფტინგი ტრავმებს ებრძვიან

# სერიოზული, მაგრამ ნაცნობი დანია

**დანიამ** მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ხომ უკვე გაამგზავრა შინ და ახლა ხმაურიანი ინგლისის გასამგზავრებლად ემზადება.

მართლაც, ვინ წარმოიდგენდა, რომ მორტენ ოლსენის გუნდი ჯგუფში, სადაც საფრანგეთის ნაკრები თამაშობდა, პირველ ადგილს მოიპოვებდა, მაგრამ ყოველგვარი მოლოდინის და წარმოდგენის მიუხედავად, დანიამ სამშაბათს ფრანგებს აკადემიურად მოუგო 2:0 და, როგორც ხედავთ, დღეს ინგლისის მეტოქეა.

ერთი სიტყვით, დანიამ უკვე დაამტკიცა, რომ სერიოზული გუნდია და ახლა მეტის დასამტკიცებლად იწყებს ბრძოლას, მაგრამ ერთი თავსატეხი გამოუჩნდა — თავდამსხმელი იონ დალ ტომასონი, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე ხუთი გოლი გაიტანა, ხოლო კიდევ ერთი არ ჩაუთვალეს, საზარდულის ტკივილმა შეაწუხა და იაპონიაში მყოფი ყველა დანიელი ექიმი დღეს თავს დაჰფოფინებს.

თუ ექიმების მოწადინებამ შედეგი ვერ გამოიღო, თავდასხმაში დენის რომედალის მხარდამხარ, ალბათ, ებე სანდი ითამაშებს, ხოლო მათთან ერთად ინგლისელების კარს მარტინ იორგენსენიც შეუტევს — მორტენ ოლსენი კარგად დამუშავებულ 4-4-3 სქემას მაინც არ დაარღვევს.

თუმცა დანიელთა ტრავმები ამით არ ამოიწურება. კერძოდ, სტიგ ტოფტინგს ანუ კაცს, რომელიც ამ ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ფეხი აწუხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ტოფტინგი ინგლისელების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, მოედნის შუაში ნიკი ბათმა და პოლ სქოულზმა შეიძლება დიდი უპირატესობა მოიპოვონ.

მაგრამ ეს ყველაფერი მატჩისას გამოჩნდება, რადგან კაცმა არ იცის როგორ წავა უშუალოდ თამაში, რა ტაქტიკას შეარჩევენ მწვრთნელები და ასე შემდეგ.

ხოლო, სანამ ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრაში დანიელები ჩინებულ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, ინგლისელებისას ვერაფერს გაიგებდით. ინგლისმა ყველანაირი შთაბეჭდილება დასტოვა. პირველ ტურში, შვედების წინააღმდეგ ჩინებულად დაიწყო და საძაგლად დაასრულა, მეორეში, არგენტინასთან ძალიან მობილიზებულად ითამაშა პირველიდან ბოლო წამამდე, ხოლო მესამეში, ნიგერიასთან ძალიან მოსაწყენად აგორა ბურთი — გულშემატკივრების აზრით განგებ, ეჭვიანთა აზრით უკეთ ვერ შეძლო და იმიტომ.

ტრავმების მხრივ ინგლისელებს თითქოს უკეთ აქვთ საქმე — მხოლოდ ოუენ ჰარგრივსია დაშავებული. მას, სავარაუდოდ, უფრო ტრევორ სინკლერი შეცვლის, ვიდრე კირონ დაიერი ან ჯო კოული. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ გუნდს საქმე კარგად ვერ წაუვა, მიმომხილველთა რწმენით, ტედი შერინგემი და დარიუს ვასელი იქნებიან სათადარიგოთა სკამზე გაფაციცებულნი და მოედანზე შესასვლელად ყოველ წამს გამზადებულნი.

და, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ მეტოქეთა ბოლო 14 შეხვედრაში ინგლისის ნაკრებმა მხოლოდ ერთხელ წააგო, მან ძალიან კარგად უწყის, რომ მეტოქის ღირსეულად ვერშეფასება შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს.

თუმცა ვნახოთ რას ამბობს ინგლისელთა მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის ასისტენტი, იმავდროულად „მიდლსბროს" თავკაცი სტივ მაკლარენი:

„დანია ვერაფრით გაგვაკვირვებს, მისი ფეხბურთელების შესახებ ყველაფერი ვიცით. აი, მაგალითად ნიგერიის ან სენეგალის ტიპის გუნდებმა შეიძლება რამე ისეთი შემოგთავაზონ, რასაც არ ელოდი, მაგრამ დანიისა ყველაფერი ცნობილია. კიდევ კარგი ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ნიგერიამ განსაკუთრებული ვერაფერი მოახერხა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვითამაშებთ დანიელების წინააღმდეგ: ცხადია, შევეცდებით შეტევისა და დაცვის დაბალანსებას, ცხადია, ჩქარი პრესინგის თამაში გვსურს, მაგრამ ვფიქრობ, ბევრი რამ ამინდზეც იქნება დამოკიდებული, მთავარია სათამაშო ორგანიზაციამ არ გვიმტყუნოს. ხომ ხედავთ, რამდენი გუნდი იმარჯვებს ბურთის მოხელთების შემდეგ სწრაფი კონტრშეტევის წყალობით. ძალიან მნიშვნელოვანია იმთავითვე განვსაზღვროთ როგორ და რა ტემპით ვითამაშებთ. ვგონებ ისე, როგორც არგენტინას ვეთამაშეთ, ამჯერადაც გამოგვადგება".

**ბაჩუნა ძიძია**



ვარჯიში ისე არ ჩაივლის, დევიდ ბექემს ფოტორეპორტიორები არ შემოეხვივნონ

# ჩემი აზრით...



## პიტერ შმაიხელი

ძალიან მიჭირს გამარჯვებულის გამოცნობა. კარიერის უდიდესი ნაწილი ინგლისში გავატარე და ამ ქვეყნის ნაკრებისადმი გულგრილად არ ვარ განწყობილი, მაგრამ ახლა მირჩევნია, ჩემი ქვეყნის გუნდი გავიდეს შემდეგ ეტაპზე. ინგლისის ნაკრებში ბევრი ცნობილი ფეხბურთელი თამაშობს და, ცხადია, ფავორიტად ითვლება, თუმცა ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე არაერთხელ დამტკიცდა, რომ მარტო სახელი არაფერს ნიშნავს.

თუ დანია მეოთხედფინალში გავა, შესაძლოა, ბრაზილიას შეხვდეს. გაიხსენოთ, რომ ეს გუნდები წინა მსოფლიოს ჩემპიონატზეც მეტოქეობდნენ და მაშინ ბრაზილიამ იმარჯვა, ჩემი აზრით, დანია სამხრეთამერიკელებს არაფრით ჩამოუვარდება.

## სოლ კემპბელი

დანიასთან ძალიან ბევრი სამუშაო და ბრძოლა გველის, თუმცა უნდა მოვიგოთ. ყველა ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. მარტო მერვედფინალის კი არა, ოთხივე დარჩენილი თამაშის მოგება გვინდა. ამის ძალა შეგვწევს. გაიხსენეთ, რამდენი ამბობდა, ინგლისი სიკვდილის ჯგუფში ჩარჩებაო, მაგრამ პირიქით კი მოხდა.

ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, არიან გამოცდილი ფეხბურთელებიც, რომელთაც წინა მსოფლიოს ჩემპიონატზეც უთამაშიათ, გამოჩნდნენ ახალგაზრდებიც. მათ ძალიან დიდი პოტენციალი აქვთ. ასე რომ, ინგლისს შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს და ჩვენ შევეცდებით, ეს დავამტკიცოთ.






ტომ სილვესტერი ერთი ჩვეულებრივი ინგლისელი ბიჭუნაა და როგორც ყველა მისი თანატოლი, სკოლაში სწავლობს. ამას წინათ მასწავლებლებს შეგირდებისთვის უთქვამთ, თქვენს საყვარელ ცნობილ ადამიანებს მიბაძეთო. მეორე დღეს ზოგი ბავშვი სკოლაში დევიდ ბექემის ვარცხნილობით გამოცხადდა, სხვებმა კიდევ თავიანთ კერპებს მიბაძეს.

მასწავლებელთა გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ტომ სილვესტერი სკოლაში ისეთი გარეგნობით მივიდა, როგორითაც ამ პატარა ბიჭუნას ახლა ფოტოზე ხედავთ. „მინდოდა, სვენ გორან ერიკსონს დავმსგავსებოდი, რადგან ის ახლა უფრო ცნობილია, ვიდრე ბექემი" — თქვა „პატარა ერიკსონმა".

ნუ გეგონებათ, თავის ნაადრევად გამელოტების გამო პატარა ტომი ოჯახში დაეტუქსათ, პირიქით, ბიჭუნასთვის თმები შეუკრეჭია დედას, რომელმაც შემდეგ თქვა, ჩემი სურვილი იყო, ტომი სკოლაში ელვის პრესლის ვარცხნილობით გამეშვა, მაგრამ ბავშვის არჩევანს დავუჯერეო.

**ნიკა შუბლაძე**

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. მერვედფინალი. №51

**შვედეთი — სენეგალი**

ხვალ. ოიტა (იაპონია). „ოიტა სთადიუმ ბიგ აი". 11.30

# ხალილუ ვარ, ოიტაში ოქრო-ვერცხლი დამიმალეთ

**არგენტინა — შვედეთის** მატჩის შემდეგ დიეგო მარადონას უთქვამს, სასაცილოდ არ მეყოფა, შვედები მსოფლიოს ჩემპიონები რომ გახდნენო.

სკანდინაველთა თანამწვრთნელი ლარს ლაგერბეკი კი მშვენიერ ხასიათზეა და თავისი გუნდითაც კმაყოფილია. რატომაც არა? ინგლისთან აგებდნენ — გაათანაბრეს, ნიგერიასთან აგებდნენ — მოიგეს, არგენტინა კი კინაღამ სულაც დაამარცხეს: „ბიჭებმა იციან, რა და როგორ აკეთონ. ისინი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ დავალებას. თუ მეოთხედფინალში გავედით, იქ თურქეთ — იაპონიის წყვილის გამარჯვებული დაგვხვდება და ნახევარფინალში გასვლის ბრწყინვალე შანსი გვექნება. ნაკრებს ნამდვილად შესწევს 1994 წლის შედეგის გამეორების ძალა. ჯგუფში პირველმა ადგილმა რწმენა შეგვმატა. ეს კი გვაიძულებს, ნებისმიერ მეტოქეს სერიოზულად დავხვდეთ."

შვედთა თანამწვრთნელმა სენეგალელებზეც თქვა: „ისინი ინდივიდუალურად ძლიერები არიან, დახვეწილნიც და მიზანდასახულნიც. ვფიქრობ, მათ დასამარცხებლად ბევრად უკეთესად თამაში გვჭირდება, ვიდრე ჯგუფში ვაჩვენეთ."

არგენტინელთა კარში ანდრეს სვენსონის გატანილი გოლი ჰენრიკ ლარსონმა ასე გაიხსენა: „მან მკითხა, მსურდა თუ არა ჯარიმის შესრულება. კომეთქი, ვუპასუხე მერე მეც იგივე ვკითხე და მითხრა, დამარტყმევინეო. მეც დავუთმე."

ჰენრიკ ლარსონმა აღნიშნა: „მოსაგებად ცოტაოდენი იღბალიც საჭიროა. არგენტინასთან ის ჩვენსკენ იყო და თუ სენეგალთანაც არ გვაქცია ზურგი, მჯერა, მეოთხედფინალში გავალთ."

მცირე ტრავმა აწუხებთ მეკარე მაგნუს ჰედმანს და ფრედერიკ ლიუნგბერგს, თუმცა სათამაშოდ მაინც იწვევენ. ლიუნგბერგს მარჯვენა ფეხის ტკივილმა გაუარა, მაგრამ მისი ამბავი საბოლოოდ მატჩის წინ გადაწყდებაო, ასე თქვეს ექიმებმა, ჰედმანი კი, ალბათ, თავის ადგილს დაიკავებს კარში.

მეორე მხარეს სენეგალია. ბრუნო მეტსუს ბიჭებს შეიძლება მადაც გაეხსნეთ. ბოლო-ბოლო მათ თვით მსოფლიოს ჩემპიონი დაიფრინეს. ელ-ჰაჯი დიუფისა და მისი თანაგუნდელებისთვის მერვედფინალში გასვლა უკვე წარმატებაა: „ჩვენმა თამაშმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭა გულშემატკივრებს მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით აფრიკაში. მთავარი მიზანი ჯგუფიდან გაღწევა იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს უბრძოლველად დავნებდებით."

სენეგალელებს ორი ყვითელი ბარათის გამო ხალილუ ფადიგა დააკლდებათ და, ალბათ, გაივლ-გამოივლის მალაზიებში.

ამის გარდა ყვითელ სიაში არიან: ფერდინანდ კოლი, ალიუ სისე, ანრი კამარა, ოუმარ დაფი, პაპე ბუბა დიოპი, ელ-ჰაჯი დიუფი და ჰაბიბ ბეიე.

შვედებს დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ, მაგრამ მარკუს ოლბოკი, ანდრეას იაკობსონი, იოჰან მიალბი, ნიკლას ალექსანდერსონი, მაგნუს სვენსონი და მთავარი კაცი, ჰენრიკ ლარსონი ფრთხილად უნდა იყვნენ.

**გაგა ხუციშვილი**



ანდრეს სვენსონისთვის გოლი ჰენრიკ ლარსონს უჩუქებია

# რა სისულელეა!

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. მერვედფინალი. №52

**ესპანეთი — ირლანდია**

ხვალ. სუვონი (კორეა). „სუვონ უორლდ ქაფ სთადიუმ". 16.30

**საუდეთის** ძლევის შემდეგ დუბლინში დიდი ზარ-ზეიმი გაიმართა. გულშემატკივრები ქუჩებში დროშების ფრიალით დადიოდნენ და გაჰკიოდნენ, ირლანდიის დამარცხება შეუძლებელიაო.

„ჯგუფიდან დამსახურებულად გავედით — გუგუნებდა მიკ მაკარტი — ოპონენტებს დავუმტკიცე, რომ სწორ გზაზე ვდგევართ".



მიგელ ნადალს და ლუის ენრიკეს ძველი ირლანდიაც ახსოვთ

ესპანელებზე კი მაკარტიმ თქვა: „არაფრის გვეშინია. მეტოქეს პატივს ვცემთ, მაგრამ ფეხბურთი სავსეა სიურპრიზებით. მას, ვინც იტყვის, რომ ესპანეთის ნაკრების დამარცხება არ შეგვიძლია, უბრალოდ, სულელად ჩავთვლი. განა ჩვენი თამაშით ვინმეს ამის თქმის საბაბი მივეცით? ხოსე ანტონიო კამაჩო, ალბათ, დარწმუნებულია თავის გუნდის ძალაში. უმაღლესი კლასის ფეხბურთელებიც ჰყავს, ოღონდ უნდა გაითვალისწინოს, რომ შინ წასვლას ჯერ არ ვაპირებთ. ჩემი ბიჭები მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ".

და რაზე ფიქრობენ ესპანელები? კამაჩოს ეჭვიც არ ეპარება ირლანდიელთა შესაძლებლობებში. განსაკუთრებით მათი ბრძოლისუნარიანობით მომხიბლულა: „გავიხსენოთ, როგორ მოვიდნენ ირლანდიელები აქამდე. შესარჩევ ეტაპზე პორტუგალიამ და ჰოლანდიამ ვერ დაამარცხეს, აქ კი გერმანიამ და კამერუნმაც ვერაფერი დააკლეს. ისინი ნებისმიერ ქვეყანაში ერთნაირად კარგად თამაშობენ, თან ზუსტად იციან, რა უნდა აკეთონ მოედანზე. ამ დროისთვის ირლანდია ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემპიონატზე."

ესპანელთა თავკაცმა ისიც აღნიშნა, მაკარტის გუნდს ჯანიც მოსდევს და გამძლეობაცო: „ფიზიკურად ძლიერები არიან და დაცვიდან თავდასხმაში გადასვლა არ უჭირთ. შეტევაში 6-7 კაცი ერთვება და გრძელ პასებს ბრწყინვალედ იყენებენ. ნაილ ქუინი ნებისმიერ მეტოქეს დიდ პრობლემას უქმნის. ეჭვი არ მეპარება, მძიმე გამოცდას მოგვიწყობენ."

იკერ კასილიასს, ალბათ, ბევრჯერ მოუწევს საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე გამოსვლა. აი, როგორ აფასებს მეკარე მეტოქეს: „ირლანდიამ ისე დაიწყო, მეგონა, ჯგუფიდან გასვლა გაუჭირდებოდა, ახლა უნდა ვაღიარო, რომ ის ძალიან კარგ ფორმაშია. მოდუნება წამითაც კი არ შეიძლება."

ფერნანდო იეროც სიფრთხილით ეკიდება ხვალინდელ მატჩს: „მეტოქე აწყობილ-დალაგებულია. მათი თამაში ვნახე და გამოგიტყდებით, კარგად ორგანიზებული გუნდია.

სასტარტო შემადგენლობაში ვითამაშებ თუ არა, ვერ გეტყვით, ის კი ვიცი, რომ ადგილი, ალბათ, რაულის გარდა, გარანტირებული არავის აქვს."

გამორიცხული არაა, ხვალ კამაჩომ გაისკა მენდიეტა ათამაშოს. ქერა ბასკი სამხრეთ აფრიკასთან რიგიანად გაისარჯა. იოლ გასეირნებას არც მენდიეტა ელის: „ისეთი მეტოქის გატეხვა, როგორიც ირლანდიაა, რთულია. ცხადია, ეს მატჩი წინა შეხვედრებთან შედარებით მძიმე იქნება. ამიტომ შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს."

35 წლის მიგელ ანხელ ნადალი ნაცადი კაცია. მას, ფერნანდო იეროს და ლუის ენრიკეს 1993-ში დუბლინში ირლანდიასთან უკვე უთამაშიათ: „მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იყო და 3:1 მოვიგეთ. სევილიაში ნულოვანი ფრის შემდეგ გამარჯვება ჰაერივით გვჭირდებოდა. ირლანდიელებს შინ დიდი ხნის განმავლობაში არ წაეგოთ. უმძიმესი შეხვედრა გამოდგა. მართალია, მას მერე დიდი დრო გავიდა, მაგრამ შეიძლება, ისტორია გამეორდეს."

აქამდე ეს გუნდები 23-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთის პირისპირ. ესპანელებმა 13-ჯერ მოიგეს, ბოლოს სწორედ ზემოთხსენებულ მატჩში. ირლანდიელებს კი 1989 წლის მერე აღარ მოუგიათ.

მეტოქეებს დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ.

**გაგა ხუციშვილი**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგელბერტ პონტელავა
საპოროდან იმენა კოსმოპოლიტური ბიუროსთვის

## საპორები საპოროდან

ზდაროვათ! ჩემ ჯიგარ ქართველობას ვესალმები შორეული იაპონიიდან. თქვენი გახარება მიხარია, თქვენთან მინდა ყოფნა, თქვენ დაუკართ, ლურჯი ჩიტი გამოფრინდება! მომკლა ჩქარი მატარებლებით აქეთ-იქით წუილმა, წამი-წამში მომავალ-მიმავალმა ტრანსპორტმა და საძაგელმა, „საიუზ 2"-ივით ლიფტებმა. ამ ლიფტების ძალიან დედა ვატირე. მიაჭერ ხელს ორმოცდამერვე სართულს და ისე აფრინდება, იატაკზე გუდრონივით დაესხმები. მერედა ჩვენებურ, შარდის სუნს ერთშიც ვერ იპოვნი. არადა, მე დუხის სუნს ვერ ვიტან. ეჰ, როგორ არის! ახლა, იმაზე, მე, როგორც ქართველმა ტრენერმა რა შევნიშნე ისეთი, ჩვეულებრივი ბალეშჩიკი რო შანსი არ არი, ვერ შენიშნავდა: რუსეთი გავარდა! ვა, როგორ დამწყდა გული. აზრზე მოდი, ტო, ჩვენი რუსეთი. ხო გახსოვთ, სოჩაში რო ჩავდიოდით და იმენა რა დროს ვატარებდით? ხოდა, ეგ რუსეთი გავარდა. ეხ, ნეტავ ერთხელაც გამაგულავა სოჩაში, ძველებურ პონტში და... რა ქვეყანა ვერ შევირგეთ?!

ბელგია... ბელგია ვინ არის, ტო?! რა, სოჩა აქვს, სმეტანა უვარგა თუ გაგიგებს ამბავში და გაგებაში? გავგიჟდი რა, იმენა გავგიჟდი. შეიძლება, ტო, ყველა მსოფლიო ჩემპიონატზე იმენა ეგ ბელგია გამოვარდეს და ეს ქვეყანა გააგდოს სოჩის ამბავში? თან ეს შჩოტიც, რომ სულ 3:2-ია.

მერე იმენა რითი აჯობა ბელგიამ? რაა? თქვი, ძმაო, რამე? არა, ჰო? ჰოდა ვსიო! აი, ეს შევნიშნე როგორც ქართველმა ტრენერმა.

კიდევ, არგენტინა გავარდა. ეხლა, იმენა, კარგად ეგეც ვერ გავიგე, რატო გავარდა არგენტინა და რატო არ გავარდა იტალია. იტალიამ ვერ მოიგო, არგენტინამ... ვერც არგენტინამ მოიგო. ჰოდა, რატო, ტო? მეც მაგას არ ვამბობ? რატო გავარდა არგენტინა და რატო არ გავარდა იტალია? იმენა, ვინმემ გამაგებინეთ, რა!

ნუ, ეხლა ფრანცია რომ გავარდა ეგ ნარმალნი ამბავია. მე გამისწორდა, მაგრამ ესპანეთი რატო გავიდა, ეგ ისევ ვერ გავიგე. ფრანცია რო არ დარბოდა, ეგრე არ დარბის ესპანიაც, მაგრამ ის გავარდა და ამას ცხრა ქულა აქვს. მივედი მერე რაულასთან, მეთქი როგორ გაძვერი, ტო? მეუბნება, მოქალაქე პონტელავავ, თვითონ გაძვერი აქედან, თორემ გამოვიძახებ უსაფრთხოების სამსახურსო. მეთქი, ბიჭო, ე, შე ჩამშვებო, შენა, მაგრამ მოვარდა ორი ამბალი კორეელი და გამტისკეს.

იტოგში, როგორც ვატყობ, აქ ჩვენებური, ნაღდი გაგების ხალხი არ არის. ჩაშვება მოსულა, ჭრელი ფორმის ჩაცმა მოსულა, სეკას არავინ ყომარობს...

მერე, ტელევიზორში ვნახე, ტარიბო ვესტმა თქვა, ჩემი თანაგუნდელები სუ ნარკამანები არიან და სამშობლოსთვის ფეხბურთს თავდადებით არ თამაშობენო. აუ, მეთქი მეშველა! ვნახე ჯიგრები, მეთქი და მოვახტი ექსპრეს-ველექტრიჩკას. ჯერ ეს რომ დაიძრა, ადგილიდან ისე მოხია, კედელს გავეკარი „ქეთო და კოტეს" აფიშასავით. მერე, რომ ჩამომფხიკეს, დამჭმუჭნეს და ურნაში ჩამაგდეს, გამოვძვერი, მეთქი თქვე ახვრებო და ბაზაზე შევიპარე. ვხედავ ჯიგრები ბალახზე წვანან, პლანს ეწევიან. მეთქი, ავოე, ოქრო ხალხო, ძლივს გიპოვნეთ ქართველებს რომ ჰგავხართ ისეთები. მეთქი, ამათ კიდევ გაუტყდათ. ე, ბიჭო, შენი ქართველი ვინ არიო და კრუგში მომაქციეს. მეთქი, არა, ტო, პლანის მოსაწევად მოვედი. მერე, აბა, პლანი გვაჩვენეო. მეთქი, მე იმიტო მოვედი, რო თქვენ მომაწევინოთ, მეთქი, ამათ კიდე მობილურით პოლიციაში გადარეკეს, ვიღაც ხულიგანიაო და დააჭერინეს ჩემი თავი.

ისევ აქაურმა ჟურნალისტმა აკაკი ავაზაკიმ მიშველა, რაღაცას დაებაზრა პოლიციაში, საპოროში დამაბრუნა და ჭკუა დამარიგა: შენ, ძმაო, თავი კვარტალში ხო არ გგონია, ეგ შტუჩკები აქ არ მოსულა, იჯექი შენთვის და სტატიები წერეო.

ამიტომაც დავრჩი საპოროში, სადაც ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს დავასკვენი — ბოლო ბოლო ტრენერი არა ვარ? — რომ ამ ჩემპიონატზე, ძმაო, იმენა არ ღირდა წამოსვლა, თან ქართველისთვის. ქართველი უნდა იჯდეს უბანში, პივას სვამდეს, ფუტბოლებს ისე უყურებდეს და რაულა მაგარი მასტი ეგონოს, რივალდო და რივალდინიო მომპარავები, დი ბიაჯო და ბი დიაჯო გამრტყმელები და ასე შემდეგ, თორე გული გაუტყდება როცა, გაიგებს, რომ მსოფლიოში მაგარი სხვა პონტია. მე ვიტყოდი სულ სხვა.

კიდე მოგწერთ.
მარად თქვენი
ავტორი: ენგელბერტ პონტელავა
ხელმოწერა:+

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 14 ივნისი

გია ახვლედიანი

# ისიც წავიდა



გუს ჰიდინკის სამძიმარი ლუიშ ფიგუსთვის ვერაფერი ნუგეშია

პორტუგალია როცა იგებს, მართლა იგებს. როცა აგებს, მართლა აგებს. პორტუგალია ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ნამდვილ ფეხბურთს თამაშობს. პორტუგალია ნამდვილია და ტოვებს მსოფლიოს ჩემპიონატს, მის ნაცვლად რჩებიან კორეელები და ამერიკელები.

პორტუგალია თამაშობს და ისე მიდის. პორტუგალია ჩემპიონი არასოდეს ყოფილა, მაგრამ პორტუგალია პორტუგალიაა და წააგებს თუ მოიგებს, ყოველთვის გემახსოვრება, ისევე როგორც მასზე ასგზის ტიტულოვანი, მართლა დიადი გუნდები გახსოვს. იმიტომ, რომ პორტუგალია ფეხბურთს თამაშობს. მართლა თამაშობს. უბრალოდ და ლამაზად, რაც ალბათ ყველაზე ძნელი, მაგრამ ყველაზე მართალი ფეხბურთია.

ამ დროს კი:

...მოსკოვი. კრემლი. პრეზიდენტ პუტინს. რუსეთის ნაკრები გავიდა მერვედფინალში, სადაც შეხვდება ბრაზილიის ნაკრებს.

ასეთი დეპეშა-ტელეგრამა ეგებ გამზადებულიც იყო, ფიქრში მაინც, მაგრამ ბელგიის ნაკრებმა ისე მოახერხა, რომ რუსეთი მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთხოვა.

რუსებს ფრეც აწყობდათ, მაგრამ ასეთი გუნდები ფრეს ვერ ახერხებენ. განა, ბელგია დიდი გუნდია? უბრალოდ, ბელგია ისეთი ევროპული გუნდია, რუსეთისნაირ გუნდებს რომ ახურდავებს ხოლმე. დაახურდავა კიდეც. ბელგიელებმა სამივე ისეთი გაუტანეს რუსებს, რომ მეკარე ნიგმატულინი ვერც კი გადახტა.

გადახტომაშიც არ არის საქმე.

ყოველი დიდი სანაკრებო ტურნირის წინ რუსები ერთ ამბავს ატეხენ ხოლმე, ასეო და ისეო.

ყვირილი კი ხმამაღალი იციან, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მათი ტექნიკური და მართლაც კარგი ფეხბურთელები ბევრს ვერაფერს ახერხებენ. ამ რომანცევზეც, თითქოს ჯვარი დაუწერიათო.

ეს კაცი სასიამოვნო, რბილ ფეხბურთს ათამაშებს რუსთა გუნდს, მაგრამ არა ბრძანდება დიდი სანაკრებო ამბის მწვრთნელი. რატომღაც, ჰგონიათ, რომ რომანცევზე უკეთესი მწვრთნელი რუსეთში არ მოიძებნება. ეს კაცი კი, მოწყენილი იერის კაცი, გამოკეტავს ხოლმე ფეხბურთელებს ბაზაზე და მთავარი მტერი ჟურნალისტი ჰგონია.

ექვსი წლის წინათ, ევროპის ჩემპიონატზე, რომენცევი თვითონ გამოიკეტა ოთახში და გუნდს წერილებით ესაუბრებოდა. გამოხდა ხანი და რომანცევი კვლავ დანიშნეს.

თუმცა, ეს რომანცევიც არ არის მთავარი. მთავარი და ცხადი ის გახლავთ, რომ რუსთა ნაკრები, ისევე როგორც საბჭოთა ნაკრები, თავისი გაქანებით და დონით ჩამორჩება მსოფლიოს არათუ მოწინავე, არამედ საშუალო, უბრალოდ, სწორად ორგანიზებულ ნაკრებებს, ისეთებს, როგორიცაა ბელგია, რომელთან 1986 წელს წაგების გამო დღემდე ლაპარაკობენ, მსაჯმა წაგვაგებინაო.

რუსეთმა ვერაფერი დააკლო იაპონიასაც. ამის გამო ქალაქის ვიტრინებისა და ავტომანქანების მტვრევა და იმ დღეს კავკასიელების ნაცვლად სავარაუდო იაპონელების, ანუ ჩინელებისა და ვიეტნამელების ცემა დიდი ვერაფერი დახმარებაა იმ ნაკრებისთვის, რომელსაც ჯიგრის და ჟინის გამოჩენაც კი ვერ მოუხერხებია. რუსეთის თითქოსდა ინტელიგენტურად თამაშს ხერხემალი არა აქვს. ინტელიგენცია ხომ უხერხემლოა ხოლმე, თუ ვინმე ჟინიანი არ გამოერია.

რა არის რუსეთის ნაკრები? ევროპის საშუალო კლუბებში მოთამაშე ტექნიკური ფეხბურთელების ცუდად შეკრული ერთობა, რომელიც ვერაფერს ახერხებს პრინციპულ თამაშებში.

¡მაშ, რატომ შექმნის ხოლმე რუსული მედია ამბავს, ეს არის და მთელი მსოფლიო ჩვენს წინააღმდეგააო? იმიტომ, რომ რუსულია და სხვანაირად არ შეუძლია.

რუსეთი ჩასვლის დღიდან გავარდნილი იყო: იაპონიას სისწრაფესა და ჯაჯგურში ვერ აჯობებდა და ბელგიას ევროპულად თამაშში, მაგრამ ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია და რუსებს შანსი ჰქონდათ.

მათ ქულა უნდოდათ და ვერ აიღეს. სულ წყლად წავიდა პუტინის თბილი და საბრძოლო სიტყვები, იმიტომ, რომ რუსული ფეხბურთი არ არის ძლიერი ფეხბურთი და თავს რომ გადაახტე, ცოტა სხვა ნაპერწკალი უნდა დაგიბრდეს თვალებში.

რომანცევი უკვე გადადგა. ეს ამბავი რუსმა ხალხმა მანეჟის მოედანზევე, წაგებიდან ნახევარ საათში გაიგო. იქ, დიდ ეკრანთან რბევა აღარ იყო, ჟირინოვსკი მისულიყო სასტვენით და ფანატებთან ერთად ცდილობდა შორს მყოფი გუნდის დახმარებას.

ისე გამოვიდა, რომ რუსებთან ორჯერ უნდა ითამაშოს საქართველოს ნაკრებმა.

არსებულ ვითარებაში საქართველოს ნაკრები ვერც იაპონიასავით ირბენს და ვერც ბელგიასავით გააგორ-გამოაგორებს ბურთს, რუსთა დასამარცხებლად საძებარი გზები კი ისევ ჩვენი ფეხბურთის უკეთეს თვისებებთან მიგვიყვანს.

თუმცა, ამის გამო განსჯა ჯერ ძალიან ადრეა, მით უმეტეს, რომ იწყება მსოფლიოს თასის მერვედფინალები და ზოგი წყვილი ისეთია, რომ თითებს ჩაიკვნეტ.

დანიური გაზეთები მოკითხვას უთვლიან ვიქტორია ბექემს, პოშ — თუ ქმარი მოგენატრა, კვირა საღამოს შინ გვყოლებაო. ინგლისელთა შორის კი ყველაზე ენაწყლიანი კვლავ სოლ კემპბელია, რომელსაც, როგორც ჩანს, მედიასთან ურთიერთობა ხასიათის სიმტკიცეს მატებს. კემპბელი მსოფლიოს თასის ხელში დაჭერაზე ალაპარაკდა და დანიელების გამო თქვა, ისე შევახრამუნებთ, როგორც მათ განთქმულ ლორს ვახრამუნებ საუზმეზეო.

დანიური ლორი დიახაც, ცნობილია, მაგრამ ბევრად იოლი მისართმევი, ვიდრე დანიის საფეხბურთო ნაკრები. რაც ჯერ არ მომხდარა, იმის გამო ხუმრობა უფრო იოლია, მაგრამ დღევანდელი დილა ყველაზე მძიმე სულ სხვა კაცისთვის იყო და არა დაშავებული მთავარდანიელის, იონ დალ ტომასონისთვის, რომელმაც ჯერ არც იცის, შეძლებს თუ არა ინგლისელების წინააღმდეგ თამაშს.

მირკო იოკიჩი, იტალიელთა მძლეველი ხორვატი მწვრთნელი შინ მიემგზავრება. მიემგზავრება გაოგნებული და დაბნეული, რადგან ხორვატიის ნაკრებმა საკუთარი ნებით დატოვა ჩემპიონატი. მსოფლიოს თასის ერთ-ერთ უსუსტეს გუნდთან წაგება, როცა აუცილებელი მოგება გჭირდება, სულაც არ ჰგავდა რუსეთ — ბელგიის მატჩს და არც ხორვატები ჰგავდნენ რუსებს. თუნდაც იმიტომ, რომ ხორვატებმა იტალიელებს მოუგეს.

„გეგმა ისეთი გვქონდა, რომ პირველივე წუთებიდან უნდა შეგვეტია და ძლიერ წნეხში მოგვექცია მეტოქე. არ ვიცი რა მოხდა" — ამბობს იოკიჩი.

მოხდა კი ის, რომ ხორვატები ნერვებს აჰყვნენ. უფრო სწორად, რამდენიმე მათგანი აშკარა სტრესს შეეპყრა და თავს ვერ მოერია. ეკვადორელებმა იგრძნეს, რომ ბოლოს და ბოლოს, ორმოტჩიანი ლოდინის შემდეგ ბურთის გაგორება და თამაშის სადავეების ხელში აღება შეუძლიათ. იოკიჩი კი შინისაკენ გაეშურა.

შინისაკენ გაეშურა კიდევ ერთი კაცი, თუმცა, ძნელი სათქმელია, პლანეტის რომელ წერტილს უნდა უწოდოს „შინ" მსოფლიოს მოქალაქემ, მხიარულმა და უბერებელმა ველიბორ მილუტინოვიჩმა. ბიჭურად ჩაცმულ-დახურული ძია ბორა ჩინეთის ნაკრებს გამოეთხოვა, მას გულიანი და სამომავლო გუნდი უწოდა და თავის გზაზე წავიდა.

პენსიაზე გასვლას არ ვაპირებ, რადგან ეს ამბავი ჩემთვის სიკვდილთან მიახლოება იქნებაო, თქვა 57 წლის მწვრთნელმა, თუმცა ისიც დაამატა, წაგებულებს სწრაფად არ სთავაზობენ ახალ სამუშაოსო.

ჩვენ კი ის უნდა გავიხსენოთ, რომ ძია ბორა არის ერთადერთი კაცი მთელს ამხელა ფეხბურთში, ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ უმწვრთნელია. ჩინელთა ფინალურ ეტაპზე გაყვანით მან გადაუსწრო ინგლისელთა ძველ მენეჯერს, სერ უოლტერ უინტერბოტომს, რომელიც ოთხ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელმძღვანელობდა ნაკრებს. განსხვავება კი ის არის, რომ მილუტინოვიჩი ხუთი სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებს მესაჭეობდა, სერ უოლტერი კი ერთს.

რვა წლის წინათ ძია ბორა ამერიკელთა მწვრთნელად იყო და მართლაც ბევრი გააკეთა ამ ქვეყანაში ნამდვილი ფეხბურთის გავრცელება-გაცნობისათვის. დღეს ამერიკაში კოლეჯ-უნივერსიტეტი არ არის გოგო-ბიჭები ბურთს რომ არ დააგორებდნენ. გალმელთა ნაკრებიც მშვენივრად თამაშობს ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ რად გინდა? იქაურებს ხეირიანად ისიც არ სცოდნიათ, რომ მათი ნაკრები იაპონია-კორეაში იღვწის. განთქმულ მეგოლეფ ტაიგერ ვუდსისთვის უკითხათ, ნაკრებზე რას იტყვიო და იმას მიუგია, მგონი მისამართი შეგეშალათ, ეგეთი რამ არ გამიგიაო. აწი სულ ვერ გაიგებს, ოღონ სიამაყისა და სახელისთვის მოთამაშე პოლონელებმა ბედვირი გაადინეს ლამის ჩემპიონატის აღმოჩენად გამოცხადებულ ამერიკელებს, რომლებიც მაინც გალოღდნენ მერვედფინალში.



ქმარი მოგენატრა, პოშ? კვირა საღამოს სახლში იქნება



ვლადიმერ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკიმ სულ ტყუილად უბერა

**საგანგებო ლოზუნგი**

**ბეისბოლი ითამაშეთ, ბეისბოლი!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. XII ტური | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 19.00 | 003 | ბრინი-ვიკინგი | 3,3 | 3,3 | 1,95 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 21.00 | 004 | ლინი-ოდ გრენლანდი | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 21.00 | 005 | მოლდე-სტაბეკი | 1,85 | 3,3 | 3,4 | 1,15 | 1,1 | 1,65 |
| 21.00 | 006 | მოსი-ბოდოი გლიმტი | 2,6 | 3,3 | 2,3 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 007 | როზენბორგი-სოგნდალი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 21.00 | 008 | სტარტი-ვალერენგა | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 24.00 | 009 | ლილესტრომი-ბრანი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| | | ფინეთი. XI ტური | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 18.30 | 024 | ჰიკ-ინტერი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 20.30 | 025 | იარო-ვაასა | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 026 | კუოპიო-ტამპერე | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 20.30 | 027 | ჯაზი-ალიანსი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 20.30 | 028 | ჰაკა-მიუპა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. ძირითადი დრო. | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 149 | გერმანია-პარაგვაი | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 16.30 | 150 | დანია-ინგლისი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 151 | შვედეთი-სენეგალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 16.30 | 152 | ესპანეთი-ირლანდია | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 153 | მექსიკა-აშშ | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 16.30 | 154 | ბრაზილია-ბელგია | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,55 |
| | | 18 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 155 | იაპონია-თურქეთი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 16.30 | 156 | კორეა-იტალია | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,8 | 1,2 | 1,1 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 15 ივნისი | | | |
| 11.30 | 1049 | გერმანია-პარაგვაი | 2,2 | 2,1 | 4,7 |
| 16.30 | 1050 | დანია-ინგლისი | 4,0 | 2,2 | 2,3 |
| | | 16 ივნისი | | | |
| 11.30 | 1051 | შვედეთი-სენეგალი | 2,7 | 2,1 | 3,4 |
| 16.30 | 1052 | ესპანეთი-ირლანდია | 2,1 | 2,1 | 5,3 |
| | | 17 ივნისი | | | |
| 11.30 | 1053 | მექსიკა-აშშ | 2,5 | 2,1 | 3,6 |
| 16.30 | 1054 | ბრაზილია-ბელგია | 1,7 | 2,3 | 7,0 |
| | | 18 ივნისი | | | |
| 11.30 | 1055 | იაპონია-თურქეთი | 2,8 | 2,1 | 3,3 |
| 16.30 | 1056 | კორეა-იტალია | 4,2 | 2,2 | 2,2 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 15 ივნისი | | |
| 11.30 | 2049 | გერმანია-პარაგვაი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2050 | დანია-ინგლისი | 1,8 | 1,7 |
| | | 16 ივნისი | | |
| 11.30 | 2051 | შვედეთი-სენეგალი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2052 | ესპანეთი-ირლანდია | 1,75 | 1,75 |
| | | 17 ივნისი | | |
| 11.30 | 2053 | მექსიკა-აშშ | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2054 | ბრაზილია-ბელგია | 2,0 | 1,55 |
| | | 18 ივნისი | | |
| 11.30 | 2055 | იაპონია-თურქეთი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2056 | კორეა-იტალია | 1,75 | 1,75 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 15 ივნისი | | |
| 11.30 | 3949 | გერმანია-პარაგვაი | 1,3 | 3,2 |
| 16.30 | 3950 | დანია-ინგლისი | 2,5 | 1,4 |
| | | 16 ივნისი | | |
| 11.30 | 3951 | შვედეთი-სენეგალი | 1,5 | 2,2 |
| 16.30 | 3952 | ესპანეთი-ირლანდია | 1,3 | 3,2 |
| | | 17 ივნისი | | |
| 11.30 | 3953 | მექსიკა-აშშ | 1,45 | 2,3 |
| 16.30 | 3954 | ბრაზილია-ბელგია | 1,15 | 4,4 |
| | | 18 ივნისი | | |
| 11.30 | 3955 | იაპონია-თურქეთი | 1,6 | 2,1 |
| 16.30 | 3956 | კორეა-იტალია | 2,8 | 1,35 |

### რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

**15 ივნისი. 11.30. 3801**

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,4 |
| ამერიკა | 2,2 |
| აზია | 20,0 |
| აფრიკა | 30,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 15 ივნისი | | |
| 11.30 | 2149 | გერმანია-პარაგვაი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2150 | დანია-ინგლისი | 1,7 | 1,8 |
| | | 16 ივნისი | | |
| 11.30 | 2151 | შვედეთი-სენეგალი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2152 | ესპანეთი-ირლანდია | 1,75 | 1,75 |
| | | 17 ივნისი | | |
| 11.30 | 2153 | მექსიკა-აშშ | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2154 | ბრაზილია-ბელგია | 1,65 | 1,85 |
| | | 18 ივნისი | | |
| 11.30 | 2155 | იაპონია-თურქეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2156 | კორეა-იტალია | 1,65 | 1,85 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

**(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 15 ივნისი | | |
| 11.30 | 2249 | გერმანია-პარაგვაი | 1,4 | 3,0 |
| 16.30 | 2250 | დანია-ინგლისი | 2,4 | 1,55 |
| | | 16 ივნისი | | |
| 11.30 | 2251 | შვედეთი-სენეგალი | 1,7 | 2,2 |
| 16.30 | 2252 | ესპანეთი-ირლანდია | 1,4 | 3,0 |
| | | 17 ივნისი | | |
| 11.30 | 2253 | მექსიკა-აშშ | 1,7 | 2,2 |
| 16.30 | 2254 | ბრაზილია-ბელგია | 1,25 | 3,8 |
| | | 18 ივნისი | | |
| 11.30 | 2255 | იაპონია-თურქეთი | 1,8 | 2,0 |
| 16.30 | 2256 | კორეა-იტალია | 2,6 | 1,5 |

### რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

**15 ივნისი 11.30. 2401**

| | |
|---|---|
| 0-2 | 2,2 |
| 3-4 | 1,9 |
| 5 ან მეტი | 3,3 |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 15 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1149 | გერმანია-პარაგვაი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 16.30 | 1150 | დანია-ინგლისი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| | | 16 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1151 | შვედეთი-სენეგალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 16.30 | 1152 | ესპანეთი-ირლანდია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1153 | მექსიკა-აშშ | 3,0 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 16.30 | 1154 | ბრაზილია-ბელგია | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 4,7 | 14,0 | 30,0 | 15,0 | 14,0 |
| | | 18 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1155 | იაპონია-თურქეთი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 16.30 | 1156 | კორეა-იტალია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო ახალციხე. ნათენაძის №7**

**მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში**

**კროკო**

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

**ნებისმიერ ბიუროში**


### ჩემპიონი

**15 ივნისი 11.30**

| | |
|---|---|
| 3651 ------ ბრაზილია | 3,4 |
| 3652 ------ იტალია | 4,0 |
| 3653 ------ ინგლისი | 4,0 |
| 3654 ------ ესპანეთი | 5,0 |
| 3655 ------ გერმანია | 6,0 |
| 3656 ------ შვედეთი | 20,0 |
| 3657 ------ იაპონია | 20,0 |
| 3658 ------ მექსიკა | 20,0 |
| 3659 ------ დანია | 25,0 |
| 3660 ------ სენეგალი | 30,0 |
| 3661 ------ თურქეთი | 40,0 |
| 3662 ------ კორეა | 40,0 |
| 3663 ------ ირლანდია | 40,0 |
| 3664 ------ ბელგია | 50,0 |
| 3665 ------ პარაგვაი | 50,0 |
| 3666 ------ აშშ | 50,0 |

# ლომაიას დინამო მოსკოვშია

## რკინიგზა მეკარეს თმობს



„ლოკომოტივს" სადღეისოდ ერთი მეკარე მანუჩარ ივარდავა (მარჯვნივ) შერჩა. გიორგი ლომაია (მარცხნივ) კი მოსკოვს მიემგზავრება

**ვიცე-ჩემპიონი** და თასის მფლობელი „ლოკომოტივი" შვებულებაშია. რკინიგზელთა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე კი ფარმ-კლუბის თავკაცები სამომავლსეზონოდ ახალ ახალგაზრდა ფეხბურთელებს აკვირდებიან და რამდენიმეს ალბათ სათავისოდაც შეარჩევენ.

ძირითადი გუნდი 17 ივნისს შეუდგება წვრთნას, თუმც ერთ-ერთი მათგანი, მეკარე გიორგი ლომაია დასვენებას არად დაგიდევთ და თავდაუზოგავად ვარჯიშობს.

თუ დიღომში, „ლოკომოტივის" ბაზაზე დილაობით შეივლით, მაშინ ლომაიასაც იქ მოჰკრავთ თვალს. ზედმეტი წონის პრობლემას ის არასდროს შეუწუხებია, ამიტომ გასაკვირიც კი იყო მეკარის ასეთი თავგამოდება. ნავარჯიშევს ის ვერ ვკითხეთ, რატომ ვარჯიშობო, მაგრამ რაღაცაში რომ იყო საქმე, ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა. მონდომებული ვარჯიშის მიზეზიც მალევე გავიგეთ და „ლოკომოტივის" ძირითად მეკარესაც არ დაუწყია მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი...

— 26 ივნისს მოსკოვში მივფრინავ. იქაური „დინამოს" წარმომადგენლები მომელიან. რუსებმა „ლოკომოტივის" თავკაცებს ჩემი სინჯებზე ჩასვლის უფლება გამოსთხოვეს. ამიტომაც ვვარჯიშობ მაშინ, როცა თითქმის ყველა ჩემი თანაგუნდელი ისვენებს. დღე-დღეზე რუსეთის ვიზას ველოდები და... დანარჩენი იქ გამოჩნდება.

რუსული „დინამოს" ხელმძღვანელები ჩემით ადრეც იყვნენ დაინტერესებულნი. მაშინ გამგზავრება გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ვერ მოვახერხე. ამჯერად ყველაფერი სასიკეთოდ აეწყო და ვნახოთ, ცდა ბედის მონახევრეა.

ლომაიასთან საუბრის შემდეგ „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტს ტარიელ ლვაბერიძეს შევეხმიანეთ, რომელმაც მოპოვებული ინფორმაციის სისწორე დაგვიდასტურა და თან დაამატა, კლუბი თანახმაა თავისი ძირითადი მეკარე მოსკოვში სინჯებზე გაუშვასო.

გიორგი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და არ არის გამორიცხული, მოსკოვში დარჩეს კიდეც მით უმეტეს როცა იქაური „დინამოს" თავკაცებს ლომაიას თამაში ადრეც დადებითად შეუფასებიათ და თვალშიც მოსდით ჩვენებური გოლკიპერი.

თუ ასე მოხდა, მაშინ რკინიგზელებს მეკარის მოძებნა მოუწევთ. მათ ჰყავთ სოლიდური მეკარე მანუჩარ ივარდავა, მაგრამ მთელი ჩემპიონატის ერთი მეკარით ჩამთავრება წარმოუდგენელი და სარისკოა. ასე რომ, ქართველო მეკარეებო, მიაკითხეთ რკინიგზას.

**გამფუკა ქვანტალიანი**

# ზესტაფონი თვეს იკმარებს

**უილბლოდ დაიწყო** მეცამეტე ეროვნული უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მეტალურგმა": ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ პირველი ქულა 8 სექტემბერს წყალტუბოში მოიპოვეს ზესტაფონელებმა. იმ დროისთვის გუნდის უმაღლეს ლიგაში ამყვანებელი მწვრთნელი ვასილ ჭეიშვილი კლუბიდან უკვე დაეთხოვათ და საქმე გამოცდილ სპეციალისტ ზაურ ჩუბინიძისთვის ჩაებარებინათ.

ჩუბინიძის ხელში ზესტაფონელებმა ქულების დაგროვება კი დაიწყეს, მაგრამ ბოლო ტურამდე უმაღლესი და პირველი ლიგების გასაყარზე ცეცხლს ეთამაშებოდა „მეტალურგი".

ადგილობრივი ქომაგების გასახარად, სწორედ ფინიშის სწორზე გამოცოცხლდნენ ვეტერანები, ხოლო ფორვარდ ზვიად ენდელაძეს მაშინ გაეხსნა მეორე სუნთქვა და „მეტალურგის" გადარჩენაშიც ლომის წილი დაიდო.

სადღეისოდ ზესტაფონელები შვებულებაში არიან. გუნდი 1 ივლისს შეიკრიბება და ერთხანს მშობლიურ ქალაქში ივარჯიშებენ. ზაურ ჩუბინიძემ თითქმის მოახერხა ძირითადი ბირთვის შენარჩუნება. ერთადერთი დანაკლისი მცველი ლევან მერებაშვილია, რომელიც დედაქალაქურ „ვიტ ჯორჯიაში" გადმობარგდა.

„მეტალურგში" ჯერჯერობით არც ახალწვეულია ვინმე, 1 ივლისიდან კი, ალბათ, ვარჯიშს განაახლებს გამოცდილი ნახევარმცველი გიორგი სუხიაშვილი, რომელმაც მენისკის ოპერაცია მეცამეტე ჩემპიონატის დასრულებამდე გაიკეთა.

ჩემპიონატის განახლებამდე „მეტალურგი" ტყიბულში გაივლის ორკვირიან შეკრებას და ზესტაფონში უშუალოდ მეთოთხმეტე ეროვნულის დაწყებამდე ორი დღით ადრე დაბრუნდება.

**გამფუკა ქვანტალიანი**

# ძველები ახალი გეგმებით

## იმერეთში ისევ ფილიპაშვილი პრეზიდენტობს

**ორ თვეზე** ცოტა მეტი დარჩა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეხუთე ყრილობამდე. ამ ფორუმს არცთუ უმნიშვნელო სავალდებულო ღონისძიებები უძღვის, იგულისხმება სფფ-ის რეგიონული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები, ერთ-ერთი ასეთი ამ დღეებში ქუთაისში გაიმართა.

იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის მეორე კონფერენციას 61 დელეგატიდან 57 დაესწრო. ფედერაცია, მოგეხსენებათ, ოთხი წლის წინ ჩამოყალიბდა და მის პირველ პრეზიდენტს იურისტ გურამ ფილიპაშვილს, ცხადია, სათქმელი დაუგროვდა. საანგარიშო მოხსენებაში მან ვრცლად ისაუბრა ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, დადებით მომენტებთან ერთად ყურადღება ნაკლოვანებებზეც გაამახვილა მიუხედავად ხელშემშლელი გარემოებებისა, რაც მეტწილად მოუგვარებელ ფინანსურ საკითხებთან იყო დაკავშირებული, ფედერაცია მაინც ახერხებდა საკუთარი მისიის შესრულებას და გასაკვირიც არ იყო, რომ კონფერენციამ დადებითად შეაფასა საანგარიშო პერიოდში ფედერაციის საქმიანობა.

ამის შემდეგ ჯერი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე მიდგა. გურამ ფილიპაშვილს შეჩვეულ სავარძელს ერთი კაცი ეცილებოდა, ერთი, მაგრამ სერიოზული კონკურენტი, ქუთაისის აწ უკვე ყოფილი ვიცე-მერი დავით ფრუიძე, ვინც წლების მანძილზე ქალაქის სპორტკომიტეტს ხელმძღვანელობდა და ერთხანს ფეხბურთის ფედერაციასაც თავმჯდომარეობდა.

წესისამებრ, პრეზიდენტობის კანდიდატებმა საკუთარი პროგრამები გააცნეს დელეგატებს და კენჭისყრას დაელოდნენ. შედეგიც მალე გაცხადდა: 33-მა ფილიპაშვილს დაუჭირა მხარი, ფრუიძეს 24 ხმა ერგო, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმერეთის ფედერაციას ისევ გურამ ფილიპაშვილი უთავკაცებს.

პოსტშენარჩუნებულმა პრეზიდენტმა, ცხადია, საკუთარი გუნდის წევრებისგანვე შეარჩია აღმასკომი, ფაქტობრივად საკადრო ცვლილებებისთვის არ მიუმართავს. ვიცე-პრეზიდენტებად ისევ ჯუმბერ ხაჟალია და ავთანდილ (კუსა) წვერავა დასახელდნენ, გენერალური მდივნობა დავით საბალაშვილმა შეინარჩუნა.

ბოლოს კონფერენციამ სფფ-ის მეხუთე ყრილობის დელეგატები აირჩია. ამ ფორუმზე გადამწყვეტი ხმის უფლებით იმერეთის ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე გარი სორდია ისარგებლებს, ჯუმბერ ხაჟალიას და გურამ ნიშნიანიძეს კი სათათბირო ხმის უფლება ექნებათ. თავად ფილიპაშვილს გადამწყვეტი ხმის უფლებას სფფ-ის აღმასკომის წევრობა ანიჭებს.

— ჩვენი უახლოესი ამოცანაა ჩავამთავროთ რეგიონული ლიგის გათამაშება და ახალი სეზონის ჩასატარებლად სათანადოდ მოვემზადოთ. რაც შეეხება პერსპექტივას, დაწყებულია მოლაპარაკება ინვესტორებთან და თუ თანამშრომლობაზე შევთანხმდით, ფინანსური პრობლემები ნაკლებად შეგვაწუხებს. უნდა მივხედოთ ქალთა ფეხბურთს, დავეხმაროთ მატერიალურად გაჭირვებულ ვეტერან ფეხბურთელებს, განსაზღვრული გვაქვს ტრავმატოლოგიური ცენტრის გახსნა, სადაც მკურნალობა შეღავათიან ფასებში იწარმოებს, — გვითხრა გურამ ფილიპაშვილმა.

**— სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნებზე ვისი მხარდამჭერი იქნებით თქვენ და გარი სორდია?**

— ჯერ არ გადაგვიწყვეტია, მთელი ყურადღება კონფერენციის ჩატარებაზე გვქონდა გადატანილი. ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ, ისე, დავით პეტრიაშვილი ჯერ არც შეგვხმიანებია.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# ალანიას ქართველები აბოდებს

## მიხეილ აშვეთია ოსებს ზამთრამდე დაუბრუნდა

„კოპენჰაგენი" — აშვეთია — „ალანიას" ბოლო დროს ერთობ პოპულარულმა ტრიომ, როგორც იქნა, საერთო ენა გამონახა და რუსულ პრემიერლიგას მეორე წრიდან კიდევ ერთი ქართველი შეემატა. მიხეილ აშვეთიას თავის საფეხბურთო კარიერაში მესამედ მოუხდა ვლადიკავკაზური კლუბის მაისურის მორგება. აქამდე ის ორჯერ უკვე თამაშობდა „ალანიაში".

მართალია, რამდენიმე თვის წინ ეს ცოტა წარმოუდგენელიც კი ჩანდა, თუმც... ამაზე ისედაც ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩვენ უბრალოდ მოკლედ შეგახსენებთ ჩვენებურის ბოლოდროინდელ თავგადასავალს: ქუთაისის „ტორპედოდან" დანიურ „კოპენჰაგენში" გადასული მიხეილ აშვეთია ვერა და ვერ ჩაჯდა ახალი კლუბის ძირითად შემადგენლობაში და დაიწყო — ქართველი თავდამსხმელი ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას, მოგვიანებით კი „კოპენჰაგენის" ხელმძღვანელობას ულტიმატუმიც წაუყენა, ან სხვა კლუბში გამანათხოვრეთ, ან მათამაშეთო. დანიელები ვირზე შესხდნენ, არც ერთი გვაწყობს და არც მეორეო.

საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც აშვეთიას სურდა — 30 ნოემბრამდე პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლი „ალანია" მეტოქეებს ქართული თავდასხმით, გია იმედაძისა და მიხეილ აშვეთიას წყვილით შეუტევს.

ყოველგვარი ფორმალური მხარე მოგვარებულია და მიხეილ აშვეთიამაც უკვე ვლადიკავკაზს მიაშურა, სადაც „ალანიას" ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ შეხვდება, უახლოეს დღეებში კი ახალ თანაგუნდელებსაც შეუერთდება.

აქვე გეტყვით, რომ ვლადიკავკაზური ქართული დუეტი შესაძლოა მალე, ტრიოდ გადაიქცეს. კერძოდ, კიდევ ერთი ტორპედოელი, რევაზ ქემოკლიძე „ალანიას" ინტერესის არეში მოხვდა რამდენიმე ქუთაისელთან ერთად. თუმც ეს საკითხი ჯერაც გაურკვეველია. ყველაფერი ქუთაისის „ტორპედოს" ახალ მწვრთნელ ალექსანდრ შტელინის სიტყვასა და ოსთა მარიფათზეა დამოკიდებული...

„ტორპედო" ვახსენეთ და ზაზა ვაჩიბერაძეზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ადრე ქუთაისური კლუბის თავდამსხმელი, რომელმაც მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატი წყალტუბოს „სამგურალში" ჩაამთავრა, საქართველო დატოვა და ყაზახურ „ასტანას" მიაშურა...

**კახა შალამბერიძე**



მიხეილ აშვეთია „ალანიას" ვერ შორდება

# საქართველო რეგიონებში მესამედ გაერია

**უეფას ეგიდით** არაერთი ტურნირი ტარდება. ერთ-ერთი რეგიონთა თასის გათამაშებაა, სადაც საქართველოს თბილისის მოყვარეც ფეხბურთელთა ნაკრები წარმოადგენს. ჩვენებურნი ამ ტურნირში უკვე მესამედ მიიღებენ მონაწილეობას. პირველად ჯონი ჯანელიძე თავკაცობდა თბილისის ნაკრებს და გუნდი ფინალურ ტურნირზეც ათამაშა, მეორედ კი ქართველები შესარჩევ ეტაპს ვერ გასცდნენ.

გუშინ თბილისის ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ საქართველო ამ ტურნირში წლეულსაც მიიღებს მონაწილეობას. ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია საშაბათს, 18 ივნისს, დღის 12 საათზე ჩატარდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძველ შენობაში — იამანიძის ქუჩა №5.

# მეოთხეც იქნება!

**საბერძნეთი დიდი ამბების მოლოდინშია — როგორც იქნა, ოლიმპიადა სამშობლოში ბრუნდება. 394 წლიდან მოყოლებული (როცა რომის იმპერატორმა თეოდოსიოს I, როგორც წარმართული დღესასწაული, ოლიმპიური თამაშები აკრძალა), 1896 წლამდე (ვიდრე ფრანგი ბარონის პიერ დე კუბერტენის ძალისხმევით თამაშები განახლდა და თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადის მასპინძლობის პატივი ათენს ერგო), მთელი 15 საუკუნე და 2 წელი, საბერძნეთიც და დანარჩენი სამყაროც უოლიმპიადოდ დარჩა. ამის შემდეგ, 1896-დან 2004 წლამდე, ოლიმპიადამ კვლავ დატოვა საბერძნეთი. კიდევ კარგი, რომ 2004 წლის თამაშების მასპინძლად ათენი დასახელდა, თორემ საბერძნეთისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გზები, ალბათ, საბოლოოდ გაიყრებოდა. ბერძნები ჯერ კიდევ ატლანტის ოლიმპიადამდე იმუქრებოდნენ, თუ საიუბილეო, ე. წ. ასწლოვანი ოლიმპიადა ათენში არ გაიმართება, ბოიკოტს გამოგიცხადებთ და საქვეყნოდ შეგარცხვენთ, თქვენი ასე და ისეო... მაშინ მუქარამ არ გაჭრა, შედარებით პატარა და ღარიბ საბერძნეთს დიდმა და მდიდარმა ამერიკამ აჯობა... დღეს ბერძნებს იქით ემუქრებიან, საოლიმპიადო სამზადისი დააჩქარეთ, თორემ სანქციები არ აგცდებათო.**



თოგაი ბაიათლი და ელგუჯა ბერიშვილი პიერ დე კუბერტენის ობელისკთან, სადაც თანამედროვე ოლიმპიადების ფუძემდებლის გული განისვენებს

**ოლიმპიადამდე** 26 თვე რჩება, ბერძნებს კი თურმე საქმე თავზე საყრელად აქვთ. 1896 წლის ოლიმპიადის გამოცდილება, ცხადია, ვერაფერი შეღავათია. სად 14 ქვეყნის 245 სპორტსმენის მასპინძლობა და სად დღევანდელი 200 ქვეყანა და 11 ათასი სპორტსმენი. თუმცა, უიმედობა რა მოსატანია, როცა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იანა ანგელოპულოსი საქვეყნოდ და მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს: „თქვენ ბევრი ბრწყინვალე ოლიმპიადა გახსოვთ, მაგრამ ათენი უბრწყინვალესი იქნება". ასეთი იყო ბოლო სიტყვები, წარმოთქმული 82 ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა თანდასწრებით სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (აიპს) 65-ე კონგრესის გახსნის ცერემონიალზე. მოგვიანებით, უკვე კონგრესის სამუშაო სხდომებზე, ქალბატონი იანას ამ განცხადებას საორგანიზაციო კომიტეტის ცალკეული სამსახურების უფროსებმა ციფრები, ფაქტები და ვიდეომასალაც მიაყოლეს. სულ შვიდი მომხსენებელი გამოვიდა ერთი საერთო პათოსით: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა შენიშვნა გავითვალისწინეთ, მშენებლობის ტემპებიც დავაჩქარეთ და საოლიმპიადოდ ყველაფერი მზად გვექნებაო. აღმასრულებელი დირექტორის იანის პურლიონისის განცხადებით, მთავრობამ დამატებითი სახსრები გამოყო, ახალი სპონსორებიც გაუჩენიათ და წლევანდელი ბიუჯეტი 2 მილიარდ ევრომდე გაუზრდიათ. ამ თანხის ორი მესამედი ახალ ოლიმპიურ ნაგებობათა მშენებლობას და ძველის რეკონსტრუქციას მოხმარდება, დანარჩენი კი — ათენის ინფრასტრუქტურის განახლებას. ამასობაში, ქალაქს 100 ათასამდე სამუშაო ადგილი შემატებია, ღარიბ მოსახლეობას შემოსავლის წყარო გასჩენია, მთავრობას კი ხალხის კეთილგანწყობა მოუპოვებია. ჟურნალისტთა კონგრესის დელეგატები მთავრობამაც დააფასა და ათენის თეატრონში, ოფიციალურ შეხვედრაზე, ლამის მთელი შემადგენლობით შეიკრიბა. სპორტზე მწერალთ მიესალმნენ საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარე, ვიცე-პრემიერი, კულტურის მინისტრი და სხვა მაღალჩინოსნები. თითოეული გამომსვლელი აღნიშნავდა ოლიმპიური თამაშების საკაცობრიო მნიშვნელობას და ჟურნალისტთა განსაკუთრებულ როლს ოლიმპიზმის იდეალების პოპულარიზაციაში. ჟურნალისტებისთვის ათენში შენდება ეგრეთ წოდებული მედია-ქალაქი და ულტრათანამედროვე პრეს-ცენტრი, ოღონდ ეგ არის, მომსახურების ფასებთან დაკავშირებული ინფორმაცია მთლად სასიამოვნო ვერ გამოდგა. მაგალითად, სასტუმროში ერთადგილიანი ნომერი 175-487 ევრო ეღირება, ოლიმპიადა კი, მოგეხსენებათ, 16 დღე გრძელდება. მაღალ ფასებს, თურმე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც შეუწუხებია. ლოზანიდან საგანგებოდ მივლინებულმა ფილიპ ფაურერმა ბერძენთა გასაგონად, ჯერ ადრინდელი თამაშების ფასები და მედიასთვის დაწესებული შეღავათები გაიხსენა, მერე კი ჟურნალისტები დაამშვიდა: ამ პრობლემას საგანგებოდ განვიხილავთ და, იმედია, თქვენს სასარგებლოდ გადავწყვეტთო.

კონგრესს სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეული არაერთი ცნობილი სპორტული მოღვაწე დაესწრო, მათ შორის ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ფრენბურთისა და ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციათა წარმომადგენლები. მათი ინფორმაცია უმთავრესად ეხებოდა უახლოეს და უმნიშვნელოვანეს ტურნირებს, აკრედიტაციის პირობებს, სპორტული ორგანიზაციებისა და მედიის თანამშრომლობის პრობლემებს. ფიფა-ს ჩინოვნიკმა კიტ კუპერმა იხუმრა, თქვენ აქ ორი დღეა 2004 წლის თამაშებზე მსჯელობთ, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდათ, რომ რამდენიმე დღეში ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი იწყებაო. მან ჩემპიონატს წარმატება უწინასწარმეტყველა და იქვე მყოფი მასპინძელი ქვეყნების, სამხრეთ კორეისა და იაპონიის დელეგაციები დაიმოწმა. კორეელთა სახელით გამოვიდა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, დოქტორი ლი, რომელმაც, მოუკლელობის მიუხედავად, ათწუთიანი მოხსენებისთვის სეულიდან ათენამდე ათი საათი იფრინა. ბატონმა ლიმ ჯერ საჩემპიონატო სამზადისზე ისაუბრა, მერე კი ფიფას ის ბრძნული გადაწყვეტილება მოუწონა, რომლის თანახმადაც ერთი ჩემპიონატის მასპინძლობა ორ ქვეყანას დაეკისრა: „ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და ეს უკვე დიდი გამარჯვებაა". კორეელს მისი იაპონელი კოლეგაც დაეთანხმა, ოღონდ „შიში" გამოთქვა, ფინალში ჩვენი გუნდები თუ გავიდნენ, მერე რა გვეშველება, ნეიტრალური სტადიონის ძებნა მოგვიწევსო. თქვენც თავს ნუ მოიკლავთ და საქმეს აქამდე ნუ მიიყვანთ, ფინალს ნუ ჩაგვიშლითო — ხუმრობითვე შეეხმიანა აიპს-ის პრეზიდენტი თოგაი ბაიათლი.

კონგრესის ათენური ნაწილის ბოლო დღე კონტინენტურ სხდომებს და აიპს-ის სესიებს დაეთმო. მასპინძლებმა პატივი დაგვდეს და სხდომებს შორის შესვენებებზე აკროპოლის, ზევსის ტაძრის ნანგრევების და ათენის სხვა სიძველეთა მონახულების საშუალება მოგვცეს. ბოლოს მარმარილოს სტადიონს, სარეკონსტრუქციოდ გამზადებულ მთავარ ოლიმპიურ სარბიელს და მაროუსის მშენებარე ოლიმპიურ ქალაქსაც ვეწვიეთ. მშენებლებიც იმედიანად არიან — მიწიერი საქმეები ჩვენზე იყოს, ზეციურს კი ისედაც არაფერი ემუქრებაო. ანტიკურ ოლიმპიაში ფეხადგმულ თამაშებს ხომ ოლიმპიელთა უზენაესი ღვთაება, ღმერთთა და კაცთა მამა ზევსი მფარველობს, ათენს კი ზევსის შვილი, ქალღმერთი ათენა. ათენიდან ოლიმპიამდე ოთხასი კილომეტრია. ექვსსაათიანი მგზავრობის შემდეგ, შეღამებულზე, სწორუპოვარი ზევსის საუფლოში აღმოვჩნდით. საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის სასტუმროში დავბინავდით და კონგრესის დასკვნითი სესიებიც იქვე, სხდომათა დარბაზში მოეწყო. ოლიმპიური აკადემია კრონოსის მთის ძირში, თვალწარმტაც ფერდობზეა გაშენებული და ოლიმპიის წმინდა ხეივნის ჩათვლით, უზარმაზარი ტერიტორია უჭირავს. წმინდა ხეივნის თავში პიერ დე კუბერტენის გული განისვენებს, ქვემოთ, ალფეოსის ნაპირებისკენ თუ დაეშვებით, ხეივანი ძველი ოლიმპიის ნანგრევებამდე მიგიყვანთ, სადაც ანტიკური კულტურის უკვდავი სულია დაუნჯებული.

...ორი წლის შემდეგ, ოლიმპიაში, ჰერას ტაძრის შესასვლელთან ოლიმპიური ცეცხლის დანთების მორიგი ტრადიციული ცერემონიალი გაიმართება და ათენის ოლიმპიურ სტადიონზე დასრულდება. მთავარი მეჩირაღდნის პატივს ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის ყველაზე გამორჩენილ სპორტსმენს მიაგებენ ხოლმე.

კახი კახიაშვილი (პიროს დიმასთან ერთად) საბერძნეთის უგამორჩენილესი სპორტსმენია — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და უამრავი სხვა ტიტულის მფლობელი. ძალოსნებში სამგზისანი სულ სამნი არიან: სულეიმანოღლუ, დიმასი და კახიაშვილი, რომლის პირველი ოლიმპიური ოქრო საქართველოს ეკუთვნის, დანარჩენი ორი — საბერძნეთს, იმ ქვეყანას, რომელმაც თურმე ჩვენზე უკეთ იცის ნიჭის და შრომის დაფასება. ბოლო ოლიმპიადაზე მიღებული ტრავმა იმდენად მძიმე გამოდგა, რომ სიდნეის შემდეგ კახიაშვილი შეჯიბრებაზე საერთოდ არ გამოსულა, ვარჯიში კი მხოლოდ შარშან, შემოდგომაზე განაახლა. ოლიმპიიდან ათენში რომ მოვბრუნდით, კახის [illegible] ფონით შევეხმიანე. ვარჯიშზე იყო, საღამოს სასტუმროში გამომიარა. ბევრი ვისაუბრეთ, ძველზეც და [illegible]

„უკვე ყოველდღე [illegible] თნელები მეუბნებიან, ერთ თვეში, თვენახევარში შეჯიბრებაზეც გახვალო. ევროპის ჩემპიონატზე უარი ვთქვი, აზრი არ ჰქონდა, დიდ შედეგს ვერ ვაჩვენებდი, თან სარისკო საქმეც იყო — ტრავმა ჯერ ბოლომდე მორჩენილი არც არის. ყურადღება და პატივისცემა არ მაკლია. საბერძნეთში ძალიან უყვართ სპორტი და სპორტსმენები. გამოვლილი მაქვს საქართველო, რუსეთი, საბჭოთა კავშირის სახელითაც გამიმარჯვია, მაგრამ ასეთი რამ არსად მინახავს, აქ სპორტსმენს ხელისგულზე ატარებენ".

კახიაშვილმა, მოგეხსენებათ, რვა წლის წინათ დატოვა საქართველო, საბერძნეთის მოქალაქე გახდა და მას შემდეგ ბერძენთა სახელით გამოდის. ამ თემაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. კახის არჩევანს ზოგმა ნაჩქარევი უწოდა და ლამის ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადა. ამას მოჰყვა კახიაშვილის ვრცელი საპასუხო წერილი, რომელიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა და დიდი ინტერესი გამოიწვია. აი, ერთი ნაწყვეტი იმ წერილიდან.

„მირჩევნია ვიყო პირველი თუნდაც საბერძნეთის სახელით და დავეხმარო ქართველ ძალოსნებს, ვიდრე ვიყო ჩამოწერილი და მივიწყებული, როგორც უკვე ერთხელ მოხდა და არც თავს გამოვადგე, არც ხალხს. დღევანდელი დღით არ მთავრდება ეს ცხოვრება. მე პასუხს ვაგებ ჩემი ერის წინაშე ჩემი შრომით და საქმიანობით. დიდი გეგმები მაქვს და თუ ღმერთის მფარველობა იქნება — შევასრულებ. დრო გავა და სხვაგვარად შეფასდება ჩემი წასვლა საქართველოდან".

კახიაშვილმა სიტყვა შეასრულა. თანამედროვეობის გამორჩენილი სპორტსმენი გახდა. მისი ბრწყინვალე ბიოგრაფია უკვე ოც წელიწადს ითვლის. ლეგენდარული ათლეტის თავგადასავალი, სპორტულიც და ცხოვრებისეულიც, მისხალ-მისხალ აღუწუსხავთ ათენში, ბერძნულ-ინგლისურ ენებზე გამოცემულ სამასგვერდიან წიგნში, რომლის ქართულ ვერსიასაც უთუოდ იხილავს მკითხველი.

„ადრე თუ გვიან, ფიცარნაგზე გამოსვლა აღარ მომიწევს, ჩემი სპორტული კარიერაც დასრულდება, მაგრამ სპორტიდან შორს წასვლას არ ვაპირებ. სპორტმა ყველაფერი მომცა და ვალდებული ვარ, ჩემი ცოდნა-გამოცდილება ახალგაზრდებს ვუწილადო — ბერძნებსაც და ქართველებსაც".

მაგრამ ეს მერე მოხდება, ორი წლის შემდეგ, როცა ათენის ოლიმპიადაც ჩაივლის და შტანგის ნაცვლად ახალ საქმეს შეეჭიდება. დღეს კი კახი კახიაშვილი ძალოსანთათვის ჯერაც მიუწვდომელი მეოთხე ოლიმპიური სიმაღლის დასაძლევად ემზადება და ოლიმპიური სიმშვიდით ამბობს: „მეოთხეც იქნება!"

**ელგუჯა ბერიშვილი**

**ათენი, ოლიმპია**




პიროს დიმასი, ნაიმ სულეიმანოღლუ და კახი კახიაშვილი



კახი კახიაშვილი თავის ნადავლთან

# ამერიკელი მწვრთნელი ქართულ სიბრძნეს მისდევს

## ჯიმ კურიეს, მონიკა სელეშის, დები უილიამსებისა და ლადო ჩიხლაძის გამზრდელმა იცის: დედა ნახე, მამა ნახე...



იენ მაიერი, ლადო ჩიხლაძის პირველი მწვრთნელი თემურ კაკულია და ლადო ჩიხლაძე

*ამ კაცს მსოფლიოში ცნობილ ბოლიტიერის, საგუსოსა და კრის ევერტის საჩოგბურთო აკადემიებში უმუშავია. მას ხელში აღზრდილან ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ჯიმ კურიე, ვინსენ სპადეა, ენდი როდიკი, მონიკა სელეში, ივა მაიოლი, დები უილიამსები. მის თვალწინ გაიზარდნენ ანა კურნიკოვა და ჯენიფერ კაპრიატი. ეს კაცი ამერიკელი იენ მაიერია, ახლო წარსულში ცნობილი კალათბურთელის თამაზ ჩიხლაძის შვილის — ლადოს პირადი მწვრთნელი. მაიერი ამ დღეებში ჩიხლაძეების ოჯახს სტუმრობდა. ეს ინტერვიუც იქ შედგა.*

**— ლადო როგორ დაგიკავშირდათ?**

— ლადოს ხშირად ვხედავდი ჩოგბურთელ სალომე დევიძესთან ერთად, რომელიც შეერთებულ შტატებში ვარჯიშობს. სალომეს დედამ გამაცნო ლადო. მისი თამაში ვნახე, პოტენციალი დავინახე და გადავწყვიტეთ, ერთად გვემუშავა. ვფიქრობ, მას შეუძლია, დიდი ჩოგბურთი ითამაშოს. ძლიერი მოწოდება და დაყენებული დარტყმა აქვს. ორ წელიწადში გაირკვევა, შეძლებს თუ არა პროფესიულ დონეზე თამაშს და გაუძლებს თუ არა მისი ორგანიზმი დიდ დატვირთვებს. თუ ვერ შეძლო, ვურჩევ ჩოგბურთს თავი გაანებოს და სწავლას მიხედოს. წლეულს ჩვენი მიზანი რეიტინგში წინ წაწევაა. ახლა აფრიკის ტურნირისთვის ვემზადებით, მერე კანადისა და შტატების ტურნირებში მივიღებთ მონაწილეობას.

**— როგორი შეგირდია ლადო?**

— ძნელია მასთან მუშაობა. ნამდვილი ქართველია, ძალიან ფეთქებადი ხასიათი აქვს. მოთმინება აკლია, რაც უკეთ თამაშში ხელს უშლის. მისი ხასიათის დადებითი თვისება მებრძოლი სულია. პრობლემებს და გაჭირვებას არ ეპუება და ბოლომდე იბრძვის. უნაკლო ადამიანი არ არსებობს, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

**— სხვა ქართველ ჩოგბურთელებს თუ იცნობთ?**

— რამდენჯერმე მინახავს ირაკლი უშანგიშვილის თამაში, კარგი ბიჭია, კიდევ თემურ გაბაშვილისა და ანა ჩიკვიტიძისა, მაგრამ ორივე რუსეთის სახელით გამოდის. ცხადია, სალომე დევიძესაც ახლოს ვიცნობ.

**— საქართველოში პირველად ხართ?**

— დიახ. ძალიან მომეწონა საქართველო. სტუმართმოყვარე და თბილი ხალხი ხართ. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მენახა, რა გარემოში გაიზარდა ლადო და ვინ დგას მის უკან. ეს მისი ხასიათის უკეთ ამოცნობაში დამეხმარება, რაც მუშაობას გამიადვილებს. ახლა უკვე ვხვდები, რატომ იქცევა ასე თუ ისე. მისი ხასიათი უკეთესად გავხსენი.

**— ყველას ასე უდგებით?**

— არა. მე ლადოს ინდივიდუალურად ვავარჯიშებ. მის გარდა კიდევ ორი ჩოგბურთელის პირადი მწვრთნელი ვარ. ამ სამეულთან მაქვს მუშაობის ასეთი ფორმა.

**— ლადოს თამაშის მანერას ვისას შეადარებდით?**

— ენდი როდიკისას. თამაშის სტილით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

**— ყოფილი შეგირდებიდან ვისთან გიჭირდათ მუშაობა?**

— ვინსენ სპადეასთან. რთული ხასიათი ჰქონდა.

**— ადვილი ვისთან იყო?**

— დებ უილიამსებთან. ძალიან ნიჭიერი გოგოები იყვნენ. რასაც ვეტყოდი, უმალ ითვისებდნენ.

**— უილიამსების მამა, რიჩარდი აქტიურად ერევა დების პირად და საჩოგბურთო ცხოვრებაში. თქვენ როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?**

— ნორმალური. მართალია, რიჩარდის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ ვდგამდი, მაგრამ კონფლიქტი არ მოგვსვლია. საქმიანი ურთიერთობა გვქონდა. სხვათაშორის, ჯერ კიდევ ათი წლის წინ მითხრა, ჩემი შვილები მინიმუმ 50 მილიონ დოლარს მომიტანენო.

**— მოქმედი ჩოგბურთელებიდან ვისი თამაშის მანერა მოგწონთ?**

— ანდრე აგასის. რაღაც განსაკუთრებული, რბილი სტილი აქვს. ნამდვილი ოსტატია. ქალებში მარტინა ჰინგისია ჩემი ფავორიტი. მას ყველანაირ საფარზე შეუძლია დიდოსტატურად თამაში.

**— ამერიკის შეერთებულ შტატებში რომელი ჩოგბურთელის იმიჯი ან ცხოვრების სტილი აღიზიანებთ, რომლის მოსწონთ?**

— ძალიან უყვართ ანდრე აგასი. იგი არამარტო დიდი ჩოგბურთელია, არამედ შესანიშნავი პიროვნებაც. ყველაზე სარფიანი კონტრაქტებიც მას აქვს. რეიტინგში უკან-უკან რომ მიექანებოდა, მაშინაც კი არ დაივიწყეს სპონსორებმა. ამერიკაში მაღალჰონორარიან კონტრაქტებს არავინ გაგიფორმებს თუ პიროვნებად არ ვარგიხარ. ასევე კარგი პიროვნებაა ანა კურნიკოვა. მასაც მილიონებიანი კონტრაქტები აკავშირებს უამრავ ფირმასთან. არ მოსწონთ ენდი როდიკი თავისი გამომწვევი ქცევის გამო. თუმცა იგი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ალბათ თანდათან მოეჭვიანდება. იგივე ანდრე აგასისაც სჭირდა 17 წლის ასაკში, მაგრამ მერე დალვინდა და ღირსება შეემატა.

**— ანა კურნიკოვა ახსენეთ. ვიცი, რომ იგი თქვენს თვალწინ გაიზარდა. როგორ ფიქრობთ, რა სჭირს კურნიკოვას, რომ ერთი უსუსტესი ტურნირიც ვერ მოიგო? ხომ არ ფიქრობთ, რომ იგი მარად იმედისმომცემ ჩოგბურთელად დარჩება?**

— ანა მართლაც ჩემს თვალწინ გაიზარდა. მაშინ კრის ევერტის აკადემიაში ვმუშაობდი. ანას პირადად კრის ევერტი ავარჯიშებდა. არასდროს მინახავს, რომ 12-14 წლის ასაკში იმდენი ვინმეს ევარჯიშოს, როგორც ანას, დილიდან საღამომდე კორტზე იყო, მაგრამ რად გინდა... მისი პრობლემა მისივე სილამაზეა. სარეკლამო და სამოდელო საქმიანობას იმდენ დროს უთმობს, რომ სავარჯიშოდ აღარ სცალია. ლამაზი რომ არ იყოს, არც დრო გაუცდებოდა, ბევრს ივარჯიშებდა და ტურნირებსაც მოიგებდა.

**— მართალია, სხვა მიზეზით, მაგრამ ძალიან ბევრი გაუცდა ჯენიფერ კაპრიატისაც. ნარკოტიკებს და ალკოჰოლს მოერია და კორტზე დაბრუნებულმა შარშან „როლან გაროსიც" მოიგო. თქვენი აზრით, რის ხარჯზე მიაღწია ამას?**

— ვფიქრობ, კაპრიატი თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი გახდა. უბრალოდ, თავისი თავი იპოვა. ყმაწვილობაში ჯენი ძალიან ძლიერი მოთამაშე იყო. ისიც ჩემს თვალწინ გაიზარდა, მშობლები და აგენტები მისგან მილიონებს ელოდნენ და მცირე წარუმატებლობასაც არ პატიობდნენ. ახალგაზრდულ ასაკში კაპრიატიმ ვერ გაუძლო ამ ზეწოლას და შვება ნარკოტიკებში და ალკოჰოლში ნახა. მერე ნელ-ნელა დაძლია დეპრესია, თავს მოერია და ძველებურად ათამაშდა. ჩემი აზრით, თუ შენით არ მანიპულირებენ და შენი ცხოვრება შენს ხელშია, დიდ ჩოგბურთს ითამაშებ.

**— გამოდის, რომ ხშირად მშობლები და აგენტები ხელს უშლიან ჩოგბურთელს.**

— ხშირად ასე ხდება. დღეს ჩოგბურთში დიდძალი ფული ტრიალებს. ჩოგბურთელისგან ყველა მილიონებს ელის. მშობლები და აგენტები უფრო იმაზე დარდობენ, რომ დახარჯული ფული ამოიღონ და მოგებაც ნახონ. დოლარების სიკაშკაშე მათ აბრმავებს და უაზრო გადაწყვეტილებებისკენ უბიძგებს. ჩოგბურთელი კი ვერ უძლებს ზეწოლას და კარიერასთან ერთად ცხოვრებაც ერევა.

**ბაჩო სვანიძე**

# ბუშტივით გამსკდარი... სამპრასი!!

**GERRY WEBER OPEN**
ჰალე. ბალახი
საპრიზო 800 ათასი $

**მეორე წრე**

**ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — **პიტ სამპრასი** (4, აშშ) 6:3, 6:4; **როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — **დავიდ პრინოშილი** (გერმანია) 6:2, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) 6:4, 6:0; **ალექსანდრ პოპი** (გერმანია) — **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) 6:4, 6:2; **კენეტ კარლსენი** (დანია) — **მიხელ კრატოხვილი** (შვეიცარია) 3:6, 6:4, 6:4

დამაჯერებლად და ხალისიანად პიტ სამპრასს არც პირველ წრეში, რუსი ანდრეი სტოლიაროვის წინააღმდეგ უთამაშია. და მართალია, მომდევნო მატჩისთვის ქომაგს უმჯობეს გარჯას აღუთქვამდა, მაგრამ ადგილობრივ ჯილა ნიკოლას კიფერთან კიდევ უფრო უჯიგროდ და უილაჯოდ იჩოგნავა.

ეს მით უფრო საწყენია, რომ კიფერი წლეულს ნათამაშებ ვერც ერთ ტურნირზე მეორე წრის მიღმა ვერ გასულიყო და ამას მაინცდამაინც სამპრასთან შეხლაში მიაღწია.

მატჩმა კი სულ რაღაც 66 წუთს გასტანა და საჩოგნეთში კიდევ ერთხელ აღძრა საფუძვლიანი ეჭვები იმასთან დაკავშირებით, მოახერხებს თუ არა შეიდგზის მეროლანგაროსე ელინოამერიკელი თავისი მერვე სეფესაბალახო ტიტულის მითვლას.

როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს — ვერ უნდა მოახერხოს!

თუმცა თავად პიტი, ვისაც შვიდ უიმბლდონურ სლემტიტულთან ერთად ოთხი საამერიკო და ორიც საავსტრალიო ტიტულები მოეძევება, თავის სლემპიპას დასრულებულად ჯერაც არ მიიჩნევს: „ნუ იჩქარებთ ჩემს ჩამოწერას. აქ მხოლოდ საკუთარ თავში დასარწმუნებლად ჩამოვედი და, მართალია, არაფერი გამომივიდა, მაგრამ როცა უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე გავივლი, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. იქაურობას არა ერთხელ გადავურჩენივარ".

„ოღონდ ერთი კია — მე სულ უფრო და უფრო მიჭირს, ეს ბიჭები კი იზრდებიან და სულ უფრო და უფრო უკეთესად თამაშობენ" — აღიარა პიტმა.

და გახსოვთ, რას ამბობდა იგი ჰალეს ტურნირის დაწყებამდე?

„პარიზის მერე საშინლად დათრგუნული ვიყავი. მთელი სეზონი წამურდლული მქონდა და როლან გაროსმა საერთოდაც ბოლო მომიღო. ვიფიქრე, ერთი კვირა დავისვენებ და მერე უიმბლდონისთვის მოვემზადები-მეთქი"

ვერ მოემზადა.

ამიტომაც იყო, თავის თავს მერე გახეთქილ ბუშტს რომ ადარებდა — რომელიც საპარიზოდ იბერებოდა, იბერებოდა და მერე — ბაც! — ნაფლეთებად იქცა.

შეძლებს პიტი საკუთარი არსების საუიმბლდონოდ შეგროვებას?

მახლას!

სხვაფრივ — წინა წლისა არ იყოს, მსოფლიოში მეათე ჩოგნის მჭნეველმა და ტურნირზე მეორე ნომრად განთესილმა როჯერ ფედერერმა მეოთხედფინალის კარიბჭესთან კვლავაც უსახელო გერმანელი, დავიდ პრინოშილი გათელა. მომდევნო წრეში იგი რუს მიხაილ იუჟნის შეხვდება, ვინაც თავის მხრივ რუმინელ ანდრეი პაველს, როლან გაროსის მეოთხედფინალოსანს ჩაუარა.

**STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**
ლონდონი. ბალახი
საპრიზო 800 ათასი $

**მესამე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ოლივიე როშუ (ბელგია) 6:2, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (2, ბრიტანეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:1, 6:2; **სხიენ შალკენი** (5, ჰოლანდია) — ჟან-მიშელ გემბილი (12, აშშ) 7:6 (7:4), 1:6, 6:4; **ტოდ მარტინი** (9, აშშ) — ქსავიე მალისი (8, ბელგია) 7:5, 6:3; **უეინ ფერეირა** (10, სამხრეთ აფრიკა) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 4:6, 7:6 (7:5);

ტურნირზე პირველ-მეორე ნომრებად განთესილმა ლეიტონ ჰიუიტმა და ტიმ ჰენმანმა უკანასკნელ „რვეულში" შთამბეჭდავი გამარჯვებებით შეაბიჯეს. პირველმა ბელგიელი ოლივიე როშუ აოტა, მეორემ — ამერიკელი რობი ჯინეპრი.

ჰიუიტს, ვინაც შარშანდელ ფინალში სწორედ ჰენმანი დაამარცხა, წლეულს შანსი აქვს, ჯონ მაკინროის შემდეგ მეორე მეჩოგნე გახდეს, ვისაც ქუინზკლაბის აკლება ზედიზედ სამჯერ გამოსვლია.

პრესკონფერენციებზე ვერც ოზი და ვერც ბრიტი კმაყოფილებას ვერ მალავდნენ და ზიარად აცხადებდნენ ისეთ ცალსახა ჭეშმარიტებებს, რომ საუიმბლდონო სამზადისისთვის ამგვარ გამარჯვებათა მნიშვნელობა უდიდესია, რომ ისინი ბალახს ნელ-ნელა ეჩვევიან და, რომ საერთოდაც — ყველაფერი ოკეია!

განსხვავებული აზრები ნამატჩევს არც ჰიუიტის მომავალ მეტოქეს, ბელგიელივე ქსავიე მალისის მატარტოდ მარტინსა და 1992 წლის ჩემპიონ უეინ ფერეირას გამოუთქვამთ.

ერთი ეგ იყო, ფერეირას დიდი ომი გადახდა მისდარად ოდინდელ ჩემპიონ მარკ ფილიპუსისთან შერკინებისას. მათშორისმა 130-წუთიანმა მატჩმა ორმხრივ უმოწყალო ხათქა-ხუთქში ჩაიარა და არ ყოფილა მომენტი, რომელსამე მოთამაშეს, სულ მცირე, ორგვიმიანი უპირატესობა მაინც მოეპოვებინა. ყველაფერი ტაიბრეიკზე გადაწყდა, როცა ავსტრალიელმა „სკადმა" ორმაგი შეცდომა დაუშვა და საბედისწერო მატჩბურთი გაიჩალიჩა.

**EDGBASTON OPEN**
ბირმინგემი. ბალახი
საპრიზო 170 ათასი $

**მესამე წრე**

**ელენა დოკიჩი** (1, იუგოსლავია) — ელენა ლიხოვცევა (16, რუსეთი) 6:3, 6:2; **ნიკოლ პრატი** (14, ავსტრალია) — სანდრინ ტესტუ (2, საფრანგეთი) 6:4, 6:4; **მაგდალენა მალეევა** (3, ბულგარეთი) — ჯული პულინი (ბრიტანეთი) 7:6 (7:5), 6:0; **ანე კრემერი** (7, გერმანია) — **დაჯა ბედანოვა** (9, ჩეხეთი) 6:0, 5:7, 6:4; **ლაიზა რეიმონდი** (8, აშშ) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 7:5, 6:4; **ელინე დანილიდუ** (საბერძნეთი) — აი სუგიამა (11, იაპონია) 6:4, 6:2; **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:5, 6:3

თავისი ეშხიანი ფეხებით მსოფლიო რეიტინგსიის მერვე საფეხურზე მდგარი და ედგბასტონურ ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი იუგოგოგო დოკიჩი წარმატებით აგრძელებს უიმბლდონისწინა მოთელვას. ამჯერად მან რუსი ლიხოვცევა შეიწირა.

სამაგიეროდ, ტურნირიდან დროზე ადრე დაითხოვეს ფრანგი სანდრინ ტესტუ ვისაც ხელთ რანგით დოკიჩის მომდევნო ჩოგანი ეპყრა. ტესტუმ ვერაფერი გააწყო უაღრესად აგრესიულად მოთამაშე ავსტრალიელის, ნიკოლ პრატის წინააღმდეგ.

კვლავაც ჩაუქრობს როლან გაროსის მოულოდნელი ნახევარფინალისტი, არგენტინელი კლარისა ფერნანდესი. მან ამერიკელ ჯილ კრეიბასს აჯობა და მეოთხედფინალში ამერიკელსავე ლაიზა რეიმონდს უნდა შეხვდეს. პარიზში ჩასვლამდე კლარისა მსოფლიოში ოდენ 87-ე იყო, მაგრამ იქაურმა სანაქებო გარჯამ ერთბაშად 53 ადგილით ალაზევა.

**ლევან ძელაურაძე**



პიტ სამპრასს უიმბლდონის ცვრიან ბალახზე გაელის იმედი აქვს

REUTERS

# ამერიკელებს ცქიტიშვილი მწვრთნელიანად უნდათ
## ფაჩულიამ ინდიანასთან ივარჯიშა



ნიკა ცქიტიშვილს ერთი სული აქვს, ამერიკაში წავიდეს

*იტალიის ჩემპიონატის ფინალი რომ არა, დღეს ნიკა ცქიტიშვილი ზაზა ფაჩულიას მსგავსად ამერიკაში იქნებოდა. იქ დრაფტისწინა ვარჯიშები თითქმის ყველა გუნდშია გახურებული — იმედისმომცემი ახალგაზრდები ნბა-ს სპეციალისტებს თავიანთ ნიჭსა და უნარს უჩვენებენ. ნიკას ადგილიც იქაა. მეტიც, ცქიტიშვილს იქ ელიან. ყველას აინტერესებს იმ „მომავალი პაუ გასოლის" ნახვა, რომელზეც ამერიკულ პრესაში თუ ვებ-გვერდებზე არაერთხელ დაწერილა.*

„მომავალი პაუ გასოლი" ჩვენი სიტყვები არ გეგონოთ. ოკეანგაღმელ სპეციალისტთა გარდა ქართველს ნბა-ს საუკეთესო ახალბედას მისი ბენეტონელი მწვრთნელიც, მაიკ დანტონიც ადარებს. აქვე გეტყვით, რომ საქმეს ისეთი პირი უჩანს, წლეულს დანტონი ნბა-ს გზას გაუყვება, თუმც მანამდე მას და ცქიტიშვილს იტალიის ჩემპიონატი აქვთ მოსაგები. ფინალურ სერიაში „ბენეტონი" 2:0 უგებს „სკიპერს" და თუ დღეს ბოლონიაშიც იმარჯვებს, ეს ორი შტატებს იტალიის ჩემპიონის რანგში ეწვევა. მანამდე კი იმ კლუბების წარმომადგენლები, რომლებსაც ნიკაზე დაწერილი თუ გაგონილი ჭკუაში მოსვლიათ, ტრევიზოში არიან. რა უნდა ამ ხალხს იტალიაში და რისთვის გადაულახავს ცხრა მთა, ჯობს თვით ნიკასგან შევიტყოთ. მას გუშინ ტრევიზოში შევეხმიანეთ.

**— ამერიკაში დრაფტისწინა ვარჯიშები დაიწყო, შენ კი კვლავ იტალიაში ხარ...**

— ჩემპიონატის დასრულებას ველოდები. იმედი მაქვს, მესამე თამაშსაც მოვიგებთ და ამერიკაშიც ამის მერე წავალ.

**— ფინალური სერია რომ გაიწელოს...**

— სერიის დამთავრებამდე იტალიას მაინც ვერ დავტოვებ. ყველაზე დიდი, ფინალი 22 ივნისამდე გაგრძელდეს, დრაფტი კი 26 ივნისსაა. რამდენიმე ვარჯიშს ჩავუსწრებ. ისე, ნბა-ს ზოგიერთი გუნდის დამკვირვებელი აქაა და თამაშებსა თუ ვარჯიშებზე სისტემატურად მაკვირდება.

**— რომელი კლუბებიდან არიან?**

„დალასიდან", „მაიამიდან". ზოგიერთმაც უკვე დატოვა იტალია.

**— წასულთაგან ვინმე ხომ არ დაგელაპარაკება?**

— „ფინიქს სანზიდან" იყვნენ. მომავალი სეზონიდან მაიკ დანტონი, ალბათ, ამ კლუბში გადავა სამუშაოდ. ისინი ჩვენს ყველა ვარჯიშს დაესწრნენ და, როგორც გავიგე, მაკვირდებოდნენ. ბოლოს, სანამ წავიდოდნენ, ერთმანეთი გავიცანით, მითხრეს, ასე განაგრძეო.

**— ახლა მანდ მყოფი ნბა-ს კლუბების წარმომადგენლებთანაც ხომ არ გქონია კონტაქტი?**

— ჯერ არა, ისინი ვარჯიშს არ აცდენენ, ყოველდღე ჩვენს დარბაზში არიან. იმ დღეს დანტონიმ მითხრა, მონდომებით ივარჯიშე, შენს საყურებლად არიან მოსულებიო. როგორც ვიცი, კვირას „გოლდენ სტეიტიდან" ჩამოდიან ჩემს სანახავად. მწვრთნელმა ამ დღეს სავარჯიშოდ მხოლოდ მე დამიბარა და ჩამოსულებიც იქ მნახავენ.

**— ამერიკიდან მიწვევა თუ მიიღე?**

— რაიმე სპეციალური მიწვევა არ მიმიღია, ეს არცაა საჭირო. გუშინ ჩემს მენეჯერს მარკ ფლეიშერს ველაპარაკე, მითხრა, ყველა მოლოდინშია და შენი ნახვა აინტერესებთო. სკაუტები, რომლებმაც უკვე გნახეს, კარგად გახასიათებენ და ახლა უშუალოდ გუნდის ხელმძღვანელებს უნდათ შენი გაცნობაო. მისგანვე შევიტყვე, რომ ფაჩულიას უკვე უვარჯიშია „ინდიანასთან". მეც ერთი სული მაქვს, როდის წავალ.

**— თქვი, შესაძლოა, დანტონი „ფინიქსში" გადავიდესო. ეს გუნდი დრაფტის მე-9 ნომერს ფლობს. როგორ გგონია, დანტონის თავისთან შენი ხილვა ამერიკაშიც ხომ არ სურს?**

— არ ვიცი, მას ამაზე არაფერი უთქვამს. ისე, „ბენეტონში" რომ აღმოვჩნდი, მისი დამსახურებაა. ამერიკელებთანაც მეტწილად მან გამიწია რეკლამა. არ გამოვრიცხავ, რომ თუ დრაფტზე დავდექი და ის „ფინიქსში" გადავიდა, იქაც გუნდში ამიყვანოს.

**ირაკლი ბერტაია**



სტენლის თასი. ფინალი ოთხ მოგებამდე

# დეტროიტი 4:1 კაროლინა



ამაგდარ სკოტი ბოუმენს დეტროიტელები შვილებივით მიეფერნენ



დეტროიტის დაცვის ბურჯს ნიკლას ლიდსტრომს გარჯა პლეი ოფში გამორჩევით დაუფასდა

REUTERS დეტროიტი

# ძალა ოცნებაშია
## დეტროიტმა ამიტომაც მოიგო: ბოუმენს და ჰაშეკს ერთი ნატვრა ჰქონდათ

*მოსახდენი მოხდა! კაროლინასთან ფინალური სერიის მეხუთე მატჩი დეტროიტმა მოიგო და 2001-02 წლების სეზონის გამარჯვებული გახდა. „წითელფრთიანებმა" მეათედ მოიგეს სტენლის თასი. ბოლო 6 წლინადში ეს „ჰოკეის ქალაქის" გუნდის მესამე ტრიუმფია.*

13 ივნისი

**დეტროიტი 3:1 კაროლინა 0:0 2:1 1:0**

1:0 ჰოლმსტრომი (25), 2:0 შენაჰანი (35), 2:1 ონილი (39), 3:1 შენაჰანი (60)

**დეტროიტი:** ჰაშეკი; ლიდსტრომი — ოლაუსონი, შლეგრი — ჩელიოსი, დანდენო — დიუშენი; აიზერმანი — ფიოდოროვი — შენაჰანი, მოლტბი — დრეიპერი — მაკარტი, ჰალი — დაციუკი — დევერო, რობიტაილი — ლარიონოვი — ჰოლმსტრომი

**კაროლინა:** ირბე; უესლი — ჰილი, ჰედიკანი — უორდი, მალიკი — ვესტიენი; სვობოდა — ფრენსისი — ონილი, ბატალია — ბრინდამორი — კოული, კაპანენი — ვასიჩეკი — ტელინა, ვესტლუნდი — ადამსი — დენიელსი

„დროა, წავიდე. ეს ჯერ კიდევ თებერვალში გადავწყვიტე და ბედნიერი ვარ, რომ კარიერის ბოლოს ნატვრაც ამიხდა. უკვე შვილიშვილები მყავს და ვფიქრობ, დავიმსახურე დასვენება".

ლიგის ისტორიაში ყველაზე სახელოვან მწვრთნელს, ლეგენდარულ სკოტი ბოუმენს ახალ შეუძლია, მშვიდად დაისვენოს. ხუთშაბათს მისმა გამოწვრთნილმა გუნდმა 68 წლის სპეციალისტს უდიდესი სიხარული მიანიჭა და კარიერაში მე-9 თასი მოუტანა, რაც ლიგის რეკორდი გახლავთ.

დეტროიტთან მან ეს სიხარული მესამედ განიცადა და, ალბათ, ყველაზე ტკბილიც იყო დიადი მწვრთნელისთვის.

როცა ნჰლ-ის კომისიონერმა გერი ბეტმენმა დეტროიტის კაპიტან სტივ აიზერმანს სტენლის თასი გადასცა, მან მაშინვე ბოუმენს გადაულოცა. ეს მართლაც რომ ბოუმენის თასი იყო. მერე ჰაშეკის რიგი დადგა. ჰოკეიში ყველა ტიტულის მქონე დომინიკს მხოლოდ სტენლის თასი აკლდა. ამიტომაც გადავიდა ჩეხი დეტროიტში და „წითელფრთიანებმა" რომ გაიმარჯვეს, მისი დიდი დამსახურებაა. „დომინატორი" იმდენად ბედნიერი იყო, რომ უმძიმესი თასით ხელში რამდენჯერმე ახტა კიდეც.

„ვინ იცის, რამდენი ღამე გავათენე ამაზე ფიქრში. იმდენი ჯილდო მაქვს, მაგრამ ეს ერთი მაკლდა და მოსვენებას არ მაძლევდა" — თქვა ბედნიერმა ჰაშეკმა და დასძინა, რომ არც კი ფიქრობს კარიერის დასრულებაზე.

ჰაშეკის შემდეგ თასი კიდევ რამდენიმე სახელოვანმა მოთამაშემ აწია კარიერაში პირველად, შემდეგ კი ყინულზე ვლადიმირ კონსტანტინოვიც გამოიყვანეს, ოდესღაც დეტროიტის მცველი. იგი ავტოკატასტროფაში მოხვდა, მძიმედ დაშავდა და დღემდე ინვალიდია, თუმც საყოველთაო ზეიმმა ისიც გამოაცოცხლა. რუსმა გაღიმებაც კი სცადა.

ახლა რაც შეეხება თამაშს: კაროლინას კიდევ შერჩენოდა მოგების იმედი, მაგრამ... დეტროიტი კვლავ მშვიდად შეუდგა თავის საქმეს და თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ შეარყია მეტოქის დაცვა. იგორ ლარიონოვის მორიგი ოსტატური პასის შემდეგ ჯერ ტომას ჰოლმსტრომმა ივარგა, შემდეგ კი ბრენდან შენაჰანმა სერგეი ფიოდოროვის დახმარებით გამოიყენა რიცხვმრავლობა. მართალია, იმავე მეორე პერიოდის მიწურულს ჯეფ ონილმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა და ინტრიგა კვლავ აამოქმედა, მაგრამ ცხადი იყო, რომ სტუმრები ბედს უკვე შეეგუვნენ. ამიტომაც მესამე პერიოდი პრაქტიკულად ზემოთ აღწერილი ზეიმის რეპეტიციად იქცა და მაყურებელთა გამუდმებული ოვაციის თანხლებით მიილია. საბოლოოდ ყველაფერი იმავ შენაჰანის მიერ ცარიელ კარში გატანილი გოლით დასრულდა, 44 წამში კი ერთი ამბავი ატყდა ყინულზე და ტრიბუნებზე.

გადასაწყვეტი მხოლოდ ის იყო, ვინ გახდებოდა MVP ანუ „კონ სმაიტ ტროფის" მფლობელი. ამ პრიზს 37-წლიან ისტორიაში მხოლოდ ერთი არაკანადელი მფლობელი ჰყავდა, ისიც აშშ-ელი ბრაიან ლიჩი. ევროპელს „სმაიტს" არც აკარებდნენ. ამიტომ ფინალის მსვლელობისას ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ. მით უმეტეს, რომ დეტროიტმა თავი ცალკეული მოთამაშეებით კი არ ისახელა, არამედ როგორც დიდებულმა გუნდმა. თუმც ბოლოს მაინც გაიმარჯვა სამართლიანობამ. MVP-ს წოდება დღევანდელი დეტროიტის სათამაშო სტილის ყველაზე მეტად გამომხატველ მოთამაშეს, დაცვის საყრდენ ნიკლას ლიდსტრომს ერგო. შვედმა მართლაც რომ საუცხოოდ ჩაატარა მთელი პლეი ოფი და თავისი უმაღლესი კლასი ერთხელ კიდევ დაამტკიცა.

„რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ სერჟ სავარის, ლარი რობინსონისა და სხვა დიადი მცველების მარაქაში გავერიე, რომელთაც „სმაიტი" მოუპოვებიათ, მით უმეტეს, რომ პირველი ევროპელი ვარ, ვინც ეს შეძლო, თუმც ჩვენს გუნდს უამრავი დიდი მოთამაშე ჰყავს და რომ არა ისინი, ჩემი შრომა შეუმჩნეველი იქნებოდა" — როგორც ყოველთვის, მორიდებულმა შვედმა საკუთარ თავზე მეტად პარტნიორები აქო და მართალიცაა, ასეთი გუნდური სული სკვეთება დეტროიტს კარგა ხანია, არ ჰქონია — მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და მოგებაც სავსებით დაიმსახურა.

**სამველ ლარიბიანი**



ყველა ტიტულის მქონე დომინიკ ჰაშეკს ერთი „სტენლის თასიღა" აკლდა და, აჰა, ეს ნატვრაც აისრულა

REUTERS დეტროიტი





REUTERS ოსაკადან

# გადაფრენები და სიხარულები



REUTERS

დიდი ზეიმი იყო მეხიკო სიტიში — მექსიკის ნაკრებმა საქმის ცოდნითა და კარგი თამაშით შეაბიჯა მერვედფინალში. ცხადია, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქის ქუჩებში გამოცვენილ მოზეიმეთა შორის ხულიგან-თავზეხელაღებულნიც ერივნენ, რომელთა დატუსაღებაშიც პოლიციამ გვარიანი ოფლი დაღვარა. თავად ნაკრები კი სულ სიცილ-კისკისით გამოეთხოვა ქალაქ ოიტას და გეზი კორეისკენ დაიჭირა. ფეხბურთელთა გაცილებისას თვით ორი წლის ბავშვები აჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატებს, მექსიკელი ფეხბურთელები კი პატარებს ეფერებოდნენ და სხვანაირად ლამაზ იაპონელ გოგონებს უცინოდნენ.

ამ დროს კი ბრაზილიელები საპასპორტო კონტროლის რიგში ჩამდგარიყვნენ. ფრენა-ლოდინით მოქანცული ლუიზაო, რონალდო, ჟილბერტ-სილვა, ბელეტი, კაკა და რივალდო თავიანთი პასპორტების სისწორის დამოწმებას ელოდნენ. თუ მექსიკელები კორეას მიფრინავენ, ბრაზილიელები იაპონურ კობეში ჩასულან.

ამ შაბათ-კვირას კი 250 კუბურსანტიმეტრიან მოტოთა დიდი პრიზი თამაშდება მონტმელოში, კატალონიაში. კატალონიურ დიდ პრიზზე ჩასულ მრბოლებს თავთავიანთი ქვეყნების საფეხბურთო მაისურები მოურგიათ. ჩვენ გვარსახელებს მოგახსენებთ, ეროვნული კუთვნილება თავად ამოიცანით: კარლოს ჩეკა, კენი რობერტსი, ვალენტინო როსი, ოლივიე ჟაკი, ალექს ჰოფმანი, დაიირო კატო, ლეონ ჰესლემი და სებასტიანო პორტო საბრძოლველად მზად არიან.



REUTERS




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge